ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 152 (20898) — კვირა, 1 ივლისი, 1990 წელი. — ფასი 5 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

სამედიცინო ინსტიტუტში მოპაკეტეთა ბრძოლა გრძელდება. მათი ზოგიერთი უკანონო მოთხოვნების გარდა, დამაფიქრებელია ისიც, რომ საფრთხე ემუქრება მისაღები გამოცდების ჩატარებას.

2 გვერდი

ვაჟა — ჩვენი მარადიული თანამედროვე. იგი დღეს, თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლის დროს სხვაგვარად აღიქმება და წაიკითხება.

3 გვერდი

თუ რა ხდება კოლუმბიაში — ნარკობიზნესის ამ ქვეყანაში, რომელიც მთელი ამერიკის ორნტინენტის შეშფოთებას იწვევს, ამ[illegible] ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი

4 გვერდი

ბალე თბილისში გაიმართება ქართველოლოგთა საერთაშორისო სემინარი. რუბრიკით „ქართველოლოგები" ვბეჭდავთ სტატიას ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის უძველეს მოამაგეებზე.

5 გვერდი

კიდევ ერთხელ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებზე, აგრეთვე, დღევანდელი დღის სხვა საინტერესო მოვლენებზე გესაუბრებათ ჩვენი მუდმივი ავტორები და კორესპონდენტები.

6 გვერდი

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 29 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე განსახილველად შეტანილი იყო სკკპ მომავალი XXVIII ყრილობის საკითხები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე გამოვიდნენ: ნ. ი. მალკოვი — პარტიის ჩიტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ი. პოტაპოვი — პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ი. მელნიკოვი — სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრი; ვ. ი. სიტნიკოვი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში; მ. შ. ნენაშევი — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; ა. ბ. რიაბოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პერსონალური პენსიონერი, ბ. ა. პოსიბეევი — პარტიის მარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ვ. ბაკატინი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი; ბ. ი. იანაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე.

პლენუმმა მოიწონა ძირითადი დებულებები მოხსენებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები" და დაავალა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, დახვეწოს იგი გამართული განხილვის შესაბამისად. პლენუმმა დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს მოხსენება გააკეთოს ყრილობაზე.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების — „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ" და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები შეიტანოს ყრილობის განსახილველად.

საბოლოო სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის მეჩაიეს, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატს ნაზიბროლა წურწუმიას ხედავთ თანამოსაქმეთა შორის, როცა იგი მოსკოვში, ქვეყნის კომუნისტთა ფორუმზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. იგი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია. ნაზიბროლას დიდ პატივს სცემენ მშობლიურ სოფელში; რადგან მზად არის ყოველ წუთს დაეხმაროს სხვებს, თვითონაც თავდადებით შრომობს. ახალგაზრდა მეჩაიე ღელავს ყრილობის მუშაობის დაწყების წინ. იგი არ მალავს თავის გულისტკივილს, ეთათბირება თანასოფლელებს, ხომ [illegible] დადგა დრო, ბოლოს და ბოლოს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთო.

ვანო შამანაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

განახლების სულისკვეთებით

დათვლილი საათები დარჩა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის გახსნამდე.

გუშინწინ გამართული ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ძირითადად მოწონებულია მოხსენება: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები", აგრეთვე სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადებისა და სკკპ წესდების პროექტები.

ამ დოკუმენტების განხილვა ყრილობაზე უაღრესად პრინციპული და ცხარე იქნება.

ამის საწინდარია შექმნილი პოლიტიკური ვითარება, კომუნისტების გულწრფელი დაინტერესება მთელი ქვეყნისა და თვით პარტიის ბედით, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა და მიმდინარეობათა არაჩვეულებრივი აქტიურობა.

ამას მოითხოვს თვითონ ცხოვრება, მოძალებული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, წარსულისა და დღევანდელობის ფხიზელი და კრიტიკული ანალიზი, გასავლელი გზების ნათელი წარმოდგენა, ცხოვრების ყველა სფეროს ჭეშმარიტი განახლების სულისკვეთება.

ამ მოლოდინითა და იმედით სუნთქავენ საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები, მათ შორის ქართველი ერი, რომელიც მიისწრაფვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, ეროვნული თვითმყოფობის დამკვიდრებისაკენ, ყველა იმ უსამართლობის აღკვეთისაკენ, რაც თან სდევდა რევოლუციის შემდგომდროინდელ რეალიებს, მტკიცედ ცენტრალიზაციას, ბარბაროს ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ მეთოდებს.

წარმატებული მუშაობა ვუსურვოთ ყრილობას!

სიტყვა ეკუთვნის დელეგატს

ნანა ჩაფიძე სპეციალობით ისტორიისა და კონსტიტუციის მასწავლებელია. 16 წელია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამჟამად გარდაბნის რაიონის მარტყოფის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო-ამზრდელობითი მუშაობის დარგში. ორი ათეული წელია სკკპ რიგებში, ქმარშვილიანია, ზრდის ორ ვაჟიშვილს. მან ენერგიული საქმიანობით სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა არა მარტო სოფელ მარტყოფში, არამედ მთელს რაიონში. ამიტომ ყველა კმაყოფილი შეხვდა ცნობას, რომ იგი საქართველოს კომუნისტთა ფორუმზე სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. „კომუნისტის" კორესპონდენტის დასმულ კითხვებს მან შემდეგი უპასუხა:

— მიგაჩნიათ თუ არა სწორად საქართველოს ყრილობის ორ ეტაპად ჩატარება?

— რწმენა და იმედი არ დამიკარგავს იმისა, რომ კომუნისტურ პარტიას ქვეყანა ყოველთვის მიჰყავდა სწორი გზით, მაგრამ იქ, სადაც დიდი საქმეები კეთდებოდა, მეტნაკლებად შეცდომებიც ვერ ავიცდინეთ, თავიდან. და აი მივედით კრიზისამდე, შეიქმნა ძძიბე პოლიტიკური ვითარება. ჩემთვის მოულოდნელი იყო საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მუშაობის სიახლე, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რაც მდგომარეობს ყრილობის ორ ეტაპად წარმართვაში. მეორე ეტაპამდე დარჩენილი დრო საშუალებას გვაძლევს ღრმად გავაანალიზოთ ყოველივე, ჩავუკვირდეთ რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს. ვიზრუნოთ და ვიბრძოლოთ საქართველოს კომპარტიის ავტორიტეტისათვის, ეს დევიზი თითოეული კომუნისტის უწინარეს ამოცანად უნდა იქცეს. წარმატებას მივაღწევთ მხოლოდ ერთიერთ მჭიდრო თანამშრომლობით.

— რა გრძნობებს იწვევს თქვენში რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი?

— წარსულში იმდენი შეცდომები იყო დაშვებული, მეტის უფლება აღარ გვაქვს. დღეს ნაბიჯი შეუწყნარებელია. ამიტომაც შექმნილი გარემოების გათვალისწინებით ჩაიარა აღნიშნულმა სესიამ. მან განიხილა საარსებო მნიშვნელობის საკითხები. მიღებული დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სამართლებრივი შექანიზმის შექმნის შესახებ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტად მიმაჩნია. დადგა დრო, როცა ქართველი ერი უკიდურესად ჩაუღრმავდა თავისი უბედურების სათავეს და მწარე სიმართლით ამეტყველდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო სრული დამოუკიდებლობის გზაზე დგას. ეს რთული და მრავალწახნაგოვანი პერიოდია, იგი მთელი ენერგიით და შემართებით უნდა გამოვიყენოთ და ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.

— როგორ გეხახებათ საქართველოს კომპარტიის მომავალი?

— ყოველივე ეს ჩამოყალიბებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტში. ეს დოკუმენტი ძირითადად მოსაწონია. ცხადია, გვაქვს შენიშვნებიც, მაგრამ ეს ცალკე სასაუბრო თემაა. საქართველოს კომპარტიის პოზიცია ის არის, რომ უცვლელად შეინარჩუნოს თავისი ამქანონული სტატუსი, უარი თქვას მთელი რიგი გადაწყვეტილებების თავს მოზვევაზე, რომელიც არ შეეფერება რესპუბლიკის ინტერესებს.

— მაინც რა მიგაჩნიათ ხანუკვარ მიზნად?

— ამ კითხვას შეიძლება ერთნაირად ეპასუხოს ბევრი: საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, მან თავად უნდა განაგოს თავისი ბედი. რადგან ეს ასეა, ცხადია, მისი კომპარტიაც დამოუკიდებელი უნდა იყოს და თავი უნდა დაიწიოს ცენტრის ყარნახს. ამან საქართველოს კომპარტიას არაფერი სასურველი მოუტანა, უბრალოდ აქციო სამხარეო ან საოლქო პარტიულ ორგანიზაციად. ცენტრმა ისიც კი გვეკადრა, რომ კომპარტიის შექმნის ასაკი შეგვიკვეცა და მას იმ პერიოდიდან ვითვლით, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წითელმა ჯარმა დაიპყრო. არადა, მარქსისტული ორგანიზაციები ჩვენში გასული საუკუნის ბოლო წლებში ფუნქციონირებდა.

— რას იტყვით მრავალპარტიულობის შესახებ?

— ეს საკითხი ახლა საგნებით მომწიფებულია, კავშირის მასშტაბით ამ მხრივ მიმდინარე პროცესების დინამიკა ჩვენი რესპუბლიკის სიცოცხლისუნარიანობის სასარგებლოდ მეტყველებს. მრავალპარტიულობა ბოლოს მოუღებს დიქტატს, ქვეყნად დაამკვიდრებს საჯაროობასა და დემოკრატიას, რომლის სურნელი ჩვენ ჯერ მთელი ძალით არ გვიგემია და რომლისკენაც მივილტვით. მრავალპარტიული სისტემა სრულიადაც არ შეეშლის ხელს კომპარტიის თავის მოდვაწეობაში, თუ კი ის დარჩება ყველა პროგრესულ მოძრაობასთან, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ერთგული და ყველაფერს იღონებს სოციალური სამართლიანობისათვის.

— რა პოზიცია უნდა გამოხატონ ქართველმა კომუნისტებმა ქვეყნის კომუნისტთა დიდ კრებაზე?

— საქართველოდან წარგზავნილ დელეგატთა შემადგენლობას ნამდვილად დიდი მისია გვაკისრია, უწინარესად უნდა დავიჭიროთ მტკიცე პოზიცია და ერთგულ-გახმათავისუფლებელმა, რთულმა და წინააღმდეგობრივმა პროცესებმა, რომლებმაც მოიცვა შრომითი კოლექტივები, ჭეშმარიტების, მორალური და პოლიტიკური ღირებულებ[illegible] სრულმა გადაფასებამ დღის წესრიგში [illegible] ბრძოლა განვლილი გზის კოიტიკული ანალიზისა და ახლებურად აღქმის საჭიროება, პროფკავშირების ტრადიციული სტრუქტურების კარდინალური გარდაქმნის ამოცანა.

29 ივნისს, თბილისში, საქართველოს პროფკავშირების რიგგარეშე, XIX ყრილობაზე შეიკრიბნენ პროფკავშირული ორგანიზაციების სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებსაც კარგად ესმით, თუ როდენ კრიზისულია პროფკავშირულ მოძრაობაში შექმნილი სიტუაცია და რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ ამ საქმეში. ყრილობაზე მოწვეული იყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების და მოძრაობების წარმომადგენლებიც.

XVIII ყრილობის შემდეგ გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს პროფსაბჭოს ანგარიში წინასწარ დაურიგდათ ყრილობის დელეგატებს. ამ ანგარიშის ძირითად მომენტებს, აგრეთვე პროფკავშირების ორგანიზაციასთან და სამომავლო ამოცანებთან დაკავშირებულ საკითხებს მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება თავის მოხსენებაში საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ პ. ჩხეიძემ.

საქართველოს პროფსაბჭოს საარეგანო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ა. ერგემლიძემ.

ყრილობის დღის წესრიგის გამო კამათი ხანმოკლე იყო. იგი გახსნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გ. ლაბაძემ. შემდეგ ყრილობას მიესალმა საქართველოს ერ[illegible] „შავარდნის" მომართვა წაიკითხა მისმა ერთ-ერთმა წევრმა, სართამშრომლო კლასის სპორტის ოსტატმა მძღეოსნობაში მ. ახარამელიმ.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა საქართველოს სახელმწიფო დაუსებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ო. მეწამდეგ.

ამით საქართველოს პროფკავშირთა XIX ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს პროფსაბჭოს ძველებური სახით ლიკვიდაციას.

შემდეგ გამოცხადდა შესვენება, რომლის დროს ყრილობის დელეგატთა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფკავშირების კულტურის საკავშირო სასახლის შესასვლელთან გამართულ მიტინგში.

მიტინგზე თითოეულმა ორატორმა, რომელთა შორის იყვნენ ზ. გამსახურდია და პ. ჩხეიძე, გამოთქვა თავისი აზრი. გამოსვლები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგიერთი გამოსვლის ლაიტმოტივი იყო მოთხოვნა, არ შემდგარიყო საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების პირველი ყრილობა, რომელიც დასახული იყო ამავე დღისათვის, რადგან იგი არ არის უფლებამოსილი და უნდა ითქვეს, [illegible] ...ვალი [illegible] ...ბა, რომ შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია, როგორც დემოკრატიულ და პარიტეტულ საფუძველზე აგებული, სალაზნმდებლო ინიციატივის მქონე ერთიანი, მძლავრი და დამოუკიდებელი ორგანო.

საქმიანი და კონსტრუქციული სკა-ბაასი გაიმართა ყრილობაზე საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის წესდებისა და პროგრამის, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულების, „პროფესიული კავშირების უფლებების შესახებ" საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის, კონფედერაციის საკონსტიტუციო კომისიის შესახებ დებულების პროექტების, დღის წესრიგის სხვა საკითხების განხილვის დროს. ყრილობისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი საფუძვლად არის მიღებული. აირჩიეს სარედაქციო კომისია, რომელიც სრულყოფს მათ ყრილობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად. შემდეგ გაიმართა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის ხელმძღვანელობის არჩევნები. კონფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს პ. ჩხეიძე, თავმჯდომარის მოადგილედ — ლ. ჯიკურიძე, მდივნებად — ლ. გაგუა, ტ. როსტომაშვილი, გ. შუღლაური.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია.

(საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირები.

ყრილობა ბოლო, ყრილობა პირველი

საკმაოდ რთული პრობლემები დგას დღეს საქართველოს პროფესიული კავშირების წინაშე. ჩვენს საზოგადოებაში ბოლო დროს ძალიან ბევრი [illegible] ...ბა, [illegible] ...ბა, [illegible] ...ბა,

ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

მდგომარეობა კი დაიძაბა...

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲙᲘᲗᲔᲑᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲣᲙᲐᲕ კარგა ხანია ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა მოთხოვნა გამოსაშვები გამოცდების გარეშე I კურსზე ჩარიცხვის შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა გამოსაშვები გამოცდები (ჩათვლები) ჩაატაროს არსებული დებულებების საფუძველზე სრული ობიექტურობისა და საჯაროობის ვითარებაში, დაინტერესებული პირების წარმომადგენელთა მონაწილეობით, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მსმენელთა ჩარიცხვის დროს დაუშვა სერიოზული შეცდომები და დაეკარგა მას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად განახორციელოს საჭირო ღონისძიებები სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობის განმუხტვის უზრუნველსაყოფად, აღმოუჩინოს ინსტიტუტს ქმედითი დახმარება ნორმალური ვითარების შესაქმნელად".

დიახ, თავი და თავი ამ შეცდომისა ის გახლავთ, რომ 1989-90 სასწავლო წლის ზაფხულის მისაღები გამოცდების შედეგად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი ბრძანებების საფუძველზე, რომლებიც ეყრდნობოდა 1989 წლის 12 აგვისტოს სამთავრობო ბრძანებას, ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩაირიცხა ყველა აბიტურიენტი, რომლებსაც მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნები ჰქონდათ მიღებული. ასევე ერთი საგნის ჩაბარების უფლების მქონე და სამ საგანში დადებითნიშნიანი აბიტურიენტები, რომლებიც მართალია, ბიოლოგიაში არ გავიდნენ გამოცდაზე, მაგრამ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული იყვნენ გასაუბრებაზე და მიიღეს დადებითი შეფასება.

აღნიშნული მსმენელების რაოდენობამ მოსამზადებელი განყოფილების ყველა ფაკულტეტზე შეადგინა 423 ახალგაზრდა.

მიუხედავად ამისა, 1989-1990 სასწავლო წლის დეკემბერში მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოცხადდა მიღება და გამოყოფილი იყო 125 ადგილი დღის დასწრებულ სწავლებაზე, 25 ადგილი საღამოს დასწრებული სწავლების ფორმაზე და 12 ადგილი სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადებისათვის. განცხადების გამოქვეყნებისთანავე სამედიცინო ინსტიტუტს აუარებელი აბიტურიენტი მიაწყდა. სულ შეტანილ იქნა 1744 განცხადება. აქედან გასაუბრებაზე გავიდა 1680 აბიტურიენტი. გამოყოფილ ადგილებზე პირველ რიგში მიიღეს ის აბიტურიენტები, რომლებიც უკონკურსო ჩარიცხვას ექვემდებარებოდნენ. დარჩენილ ადგილებზე ჩაირიცხა ცოდნის შეფასების მიხედვით და შეღავათების გათვალისწინებით.

1989 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიიღეს ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1989-1990 სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე დიდი კონკურსის გამო ვერ ჩაირიცხა აბიტურიენტთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელები, ავადმყოფთიდან დემობილიზებული, სტიქიით დაზარალებული რაიონების მცხოვრებნი, ხანგრძლივი სამუშაო-სტაჟის მქონე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხულ იქნენ აბიტურიენტები, რომელთაც გასაუბრებაზე დაიმსახურეს დადებითი შეფასებები,

მიმღები კომისია მზად იყო, ყველა საჩივარზე გაეცა პასუხი, მაგრამ მათ ეს ხელს არ აძლევდათ. მდგომარეობა დაიძაბა. რექტორატის შენობაში ადგილი ჰქონდა ძალადობას, დებოშს, შენობის მეორე სართულის ღამის ორ საათამდე ბლოკირებას. ამგვარად მიმღები კომისიის, სამინისტროსა და უკანონობის მომხხოვნ აბიტურიენტთა და მათი მშობლების ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და, ბოლოს, განათლების სამინისტროს ბრძანებით დაკმაყოფილეს მათი მოთხოვნა. ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე 162-ის ნაცვლად ჩაირიცხა 2112 მსმენელი...

აი, როგორ შეიქმნა — ის არანორმალური ვითარება, რომელიც სუფევს დღეს სამედიცინო ინსტიტუტში. და რომლითაც ასე აღელვებულია ჩვენი საზოგადოებრივობა.

სამედიცინო ინსტიტუტის ისტორიაში მოხდა გაუგონარი ამბავი.

ასეთი გართულებებით ჩატარებული დაკომპლექტების შედეგები განიხილეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1989 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე, სადაც აღინიშნა, რომ მოსამზადებელ განყოფილებაზე, იმ ახალგაზრდების მსმენელებად ჩარიცხვა, რომლებმაც გასაუბრებაზე მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება, არ შეესაბამება არც არსებულ ინსტრუქციებს, და არც პროფესიული მომზადებისა და სწავლების ელემენტარულ მოთხოვნებს, წარმოადგენს ცოდნის, როგორც მთავარი კრიტერიუმის, უგულებელყოფას.

ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილება, რომელმაც ჩვეულებრივზე რამდენჯერმე მეტი მსმენელი მიიღო, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, გარდა იმისა, რომ განიცდიდნენ აუდიტორიების ნაკლებობას, საჭირო გახდა დამატებითი მასწავლებლების მონახვა. ესეც გაკეთდა. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან თუ კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული იყო 118 პედაგოგი. შეიძლება მათ შორის ყველა არ იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მაგრამ მეცადინეობა ნორმალურად დაიწყო. მალე აღმოჩნდა, რომ მსმენელთა გარკვეულმა ნაწილმა სწავლის სურვილი არ გამოავლინა. ბევრი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ ძალიან სუსტი ნაკადიაო, ხშირი იყო პედაგოგებსა და მსმენელთა შორის კონფლიქტი, მოხდა პედაგოგების შეცვლაც. ბევრი თავად გარბოდა, რადგან აბიტურიენტთა ზოგიერთი ნაწილი აიძულებდა მათთვის საერთოდ არ გამოცხადდა საკონტროლო ჩათვლაზე.

და როცა ამ ამბავს სათანადო რეაგირება მოჰყვა, დაიწყო გაფიცვები. საბოლოოდ მსმენელთა ერთმა ნაწილმა, რომელიც განყოფილებაზე ჩარიცხვა ძალადობის გზით მოახერხა, გადაწყვიტეს ინსტიტუტში სტუდენტად ჩარიცხვისთვისაც ასეთი გზით მიეღწიათ და მოითხოვეს: ყველა ერთად დავდგეთ და ყველამ ერთად მოვითხოვოთ პირველ კურსზე უგამოცდოდ ჩარიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ინსტიტუტში მუშაობის უფლებას არ მოგცემთო, და მოახდინეს ადმინისტრაციული შენობის ბლოკირება.

ვფიქრობთ, აქ უკვე არაკეთილმოსურნეთა ხელი ურევია. ისეთები, რომლებსაც სწადათ რეპუბლიკაში დაძაბული ვითარების შექმნა, ახალგაზრდებს შორის შუღლის ჩამოგდება და ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება.

მოსამზადებელ განყოფილების მსმენელთა და მათი მშობლების ერთი ნაწილის ასეთმა მოქმედებამ ყველა აღელვა. რედაქციის სახელზე მოდის საპროტესტო წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან. ყველა გრძნობს, რომ ასეთმა ძალადობამ შეიძლება სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც იჩინოს თავი, ეს კი უკვე ქაოსია, რომელსაც არავისთვის არ მოუტანია სიკეთე. შექმნილი რთული სიტუაციის გამო გაიმართა სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო სპეციალური დადგენილება:—უპირველეს ყოვლისა, დაყვანილ იქნეს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებსა და დაინტერესებულ პირებამდე, — ნათქვამია დადგენილებაში, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება, რომელიც მიუღებლად მიიჩნევს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა მოთხოვნას გამოსაშვები გამოცდების გარეშე პირველ კურსზე ჩარიცხვის შესახებ.

დადგენილებიდან მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს, სადაც ინსტიტუტის თანამშრომლები თხოვნით მიმართავენ მინისტრთა საბჭოს, რათა კანონის ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა ერთი ნაწილისა და მათი მშობლების მიერ ინსტიტუტის რექტორატისა და ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბლოკირებული შენობის განთავისუფლებისა და მოდქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. აღნიშნულის გარეშე რექტორატი ვერ უზრუნველყოფს ინსტიტუტის მუშაობის ნორმალიზაციას.

მაგრამ მოპიკეტენიც როდი სჯერდებიან მხოლოდ ინსტიტუტის შენობის ბლორიკებას, ისინი კვლავ რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებზე აწყობენ იერიშს, რათა მიიღებინონ ბრძანება №252/216, რომელსაც აქვე გაგაცნობთ.

„სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მიქონილი სასწავლო წელს შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო ვერ იქნა უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვა, რამაც ხანგრძლივი პერიოდით მეცადინეობის შეწყვეტა და მასობრივი გაფიცვები გამოიწვია.

მოსამზადებელ განყოფილებაზე შექმნილი დაძაბული ვითარების نორმალიზაციის მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, სამედიცინო ინსტიტუტისა და მსმენელთა საბჭოს წარმომადგენელთა შეთანხმების საფუძველზე

ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲓᲘᲗ:

1. მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები ჩაირიცხონ პირველ კურსზე შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით.

ზამთრის სესიებზე I კურსის პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა-ჩათვლების გარდა ჩაბარდეს ჩათვლები ბიოლოგიასა და მათემატიკაში მოსამზადებელ განყოფილებაზე ამჟამად შედგენილი პროგრამის შესაბამისად.

სტუდენტები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ პროგრამით გათვალისწინებულ გამოცდა-ჩათვლებს, არსებული დებულების შესაბამისად გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

2. აღნიშნული ბრძანება გავრცელდეს იმ მსმენელებზე, რომლებმაც სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა გასაუბრებაში"...

ამ ერთობლივი ბრძანების საპასუხოდ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლობამ და ხსნის კომიტეტმა, რომელიც შექმნა ინსტიტუტის ავტონომიის საორგანიზაციო კომიტეტისა და საგიფიცვო კომიტეტის შერწყმის შედეგად, თავის პირველ სხდომაზე ამა წლის 5 ივნისს მიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და სსრკ უზენაეს საბჭოში მივლენილ საქართველოს სახალხო დეპუტატებს. თავიანთ გადაწყვეტილებაში ისინი აღნიშნავენ:

1. სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი კატეგორიულად მოითხოვს უარყოფილი იქნას სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი ბრძანება (№252/216 — 1.06. 90) როგორც უკანონო და მიღებული. სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე.

2. სამედიცინო ინსტიტუტი უნდობლობას უცხადებს სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს და იუწყება, რომ იწყებს დაუმორჩილებლობის აქციას;

3. ა. წ. 5 ივნისიდან გაიფიცოს სამედიცინო ინსტიტუტის ყველა კათედრა და განყოფილება.

4. არ ჩატარდეს გადასაყვანი და სახელმწიფო გამოცდები სტუდენტებისათვის;

5. გაუქმდეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილება (1989 წლის კონტიგენტის ჩათვლით);

6. არ ჩატარდეს 1990 წლის აბიტურიენტთა მისაღები გამოცდები"... და ა. შ.

ამჟამად ინსტიტუტის მთელი კოლექტივი გაფიცულია, კვლავ გრძელდება მოსამზადებელი განყოფილების მსმენელების მიერ ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობის ბლოკირება. შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა და მოითხოვს მეტად ტაქტიან, გონივრულ მოქმედებას. არა დაპირისპირება, შუღლი და ბრძოლა, არამედ შემრიგებლობა, კანონით მოქმედება, რამეთუ ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც წესებსა და კანონებს უნდა ვემორჩილებოდეთ; ასეა ყველა ნორმალურ საზოგადოებაში, ასეა ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ასეთი დაძაბული მდგომარეობიდან, რომელიც ორივე მხრივ იწვევს ნერვიულობას, ადამიანთა დაავადმყოფებას და მსხვერპლსაც კი, საჭიროა გამოინახოს დიალოგის ფორმა, ურთიერთმიმტევებლობა, დათმობა.

დროა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობა განახლდეს.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲛᲐᲠᲗᲡᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ

ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲓ ᲣᲚᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ?

ᲩᲕᲔᲜᲘ ბოლო დროს ისე გახშირდა მკვლელობა, რომ გაზეთები ყოველ დანაშაულზე ვერც კი ასწრებენ გამოხმაურებას. თავისთავად ყოველი მკვლელობა ამაზრზენია, მაგრამ ბევრი მათგანი ერთნაირ სიტუაციაში, ერთი და იმავე მიზეზით რომ ხდება, ეს ალმაშფოთებელი და ღრმად დამაფიქრებელიც არის.

ამ ნერილშიც, სამწუხაროდ, სწორედ ასეთ სიტუაციაში მომხდარ მკვლელობაზე გვექნება ლაპარაკი, ოღონდ ესაა, მკვლელს, და მის მშობლებსაც, თავი უდანაშაულო ჰგონიათ და ყოველი სასამართლოს განაჩენის ან ზემდგომ ინსტანციებში განხილვის შემდეგ უფრო „ზევით და ზევით" მიმართავენ საჩივარგანცხადებით.

...თუმცა, მოდით, ჯერ გავიგოთ როგორ მოხდა ეს მკვლელობა.

არა კაც კლაო, ვიცით სახარებიდან, მაგრამ ბახუსისაგან გონდაკარგულ ზოგიერთ ახალგაზრდას თვალები ისე დაებინდება ხოლმე, რომ ვეღარა გრძნობს რას სჩადის. ანაგელი ძმაკაცები ნემო კახოიძის ოჯახში შეიკრიბნენ. სუფრას შემოუსხდნენ, ადათ-წესისამებრ თამადად თანასოფელი, თბილისში მცხოვრები თემურ ბეროშვილი აირჩიეს.

...და როცა ზომაზე მეტი სასმელი დაილია, როცა მრავალი სადღეგრძელო ითქვა, ბახუსმა იძალა და მხურვალე სიტყვა, სითბო და ალერსი შეურაცხყოფამ შეცვალა, ხოლო სიკეთე ბოროტებამ დათრგუნა. ამაში განსაკუთრებით, ვლადიმერ ღირსიაშვილი და თემურ ბეროშვილი გამოირჩეოდნენ. ბოლოს, როგორც სასამართლო განაჩენიდან ვგებულობთ, გაანაწყენებული ღირსიაშვილი შინ წავიდა, აიღო თოფი და... ორღობეში შინ მიმავალ ბეროშვილს წინ გადაუდგა, შეუძახა — აქეთ მოდექიო, და სროლის ხმაც გაისმა.

აი ასე, დაუნანებლად, წაკინკლავების ნიადაგზე ღირსიაშვილმა უღვთოდ გაიმეტა სულ ცოტა ხნის წინ მისი სუფრის თამადა, შვილების მამა, მეზობელი თემურ ბეროშვილი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲜᲐᲮᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲮᲚᲐ, ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲘᲗᲔᲚ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲠᲝᲛᲐ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲦᲘᲠᲘᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲡᲐ... ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲘᲪᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲠᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲙᲚᲐᲝ, ᲕᲘᲪᲘᲗ ᲡᲐᲮᲐᲠᲘᲑᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲐᲮᲣᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲝᲜᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲡᲐᲤᲣᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ თვალები ისე დაებინდება ხოლმე, რომ ვეღარა გრძნობს რას სჩადის. ანაგელი ძმაკაცები ნემო კახოიძის ოჯახში შეიკრიბნენ. სუფრას შემოუსხდნენ, ადათ-წესისამებრ თამადად თანასოფელი, თბილისში მცხოვრები თემურ ბეროშვილი აირჩიეს.

...და როცა ზომაზე მეტი სასმელი დაილია, როცა მრავალი სადღეგრძელო ითქვა, ბახუსმა იძალა და მხურვალე სიტყვა, სითბო და ალერსი შეურაცხყოფამ შეცვალა, ხოლო სიკეთე ბოროტებამ დათრგუნა. ამაში განსაკუთრებით, ვლადიმერ ღირსიაშვილი და თემურ ბეროშვილი გამოირჩეოდნენ. ბოლოს, როგორც სასამართლო განაჩენიდან ვგებულობთ, გაანაწყენებული ღირსიაშვილი შინ წავიდა, აიღო თოფი და... ორღობეში შინ მიმავალ ბეროშვილს წინ გადაუდგა, შეუძახა — აქეთ მოდექიო, და სროლის ხმაც გაისმა.

აი ასე, დაუნანებლად, წაკინკლავების ნიადაგზე ღირსიაშვილმა უღვთოდ გაიმეტა სულ ცოტა ხნის წინ მისი სუფრის თამადა, შვილების მამა, მეზობელი თემურ ბეროშვილი.

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲪᲜᲔᲑᲐ კოსმოპოლიტის ხსენება ზოგჯერ ვერ ჰპოვებს კეთილგანწყობას. ამის მიზეზია შინაარსი, დასახელებულ ცნებას უმრავლესობით რომ მიეწერება, ეს მდგომარეობს ყოველგვარი განსხვავების (მათ შორის ეროვნული განსხვავების) უარყოფაში და „ზგანურჩეველი გროვის" სახით სამყაროს წარმოდგენაში. ცხადზე უცხადესია, რომ კეთილგანწყობას ვერ ჰპოვებს ამგვარი შინაარსი. მაგრამ გასარკვევია, ჰქონდა თუ არა ამ ცნებას თავდაპირველ ეს შინაარსი? ხომ არ მიაწერეს მას ის, რაც მასში სრულებით არ იგულისხმება?

რაკი სიმპათიით არ ვუყურებთ ამ ცნებას, მამინ მათ ღვაწლზეც უნდა ვთქვათ უარი, ვისაც ეს სახელი ჰქვია (ჰეგელი, გუთე, ჰოლდერლინი, მატიზენი, ცვიკაკ, ჰოელი და სხვა უამრავი). ვფიქრობთ, ასე არ მოიქცევა არც ერთი კულტურული ადამიანი. პირიქით, დასახელებულ შემოქმედთა მემკვიდრეობიდან ბევრი რამაა გასათვალისწინებელი და მარადყამს სასწავლი. ადამიანთა განკერძოებულ ფენებს ან შემოქმედთა ერთ ცალკეულ კატეგორიას როდი ერქვა ეს სახელი; იგი იყო საზოგადოების სახელწოდება, რომლის მიზანსაც თვალსაჩინო მოღვაწეთა გაერთიანება და თავმოყრა წარმოადგენდა. ადამიანთა შორის სიყვარულის დამკვიდრება, ჭეშმარიტი მშვიდობის განხორციელება იყო კოსმოპოლიტთა მიზანი.

კოსმოპოლიტთა შემოქმედებაში (თუ მას შეეგუებით ზოგადად) დაძლეულია სახიფათო უკიდურესობანი; ესაა აბსტრაქტული სიცარიელე და უაზრობა, ქაოსი. ამ შემთხვევაში სიცოცხლეს შენარჩუნებული აქვს საფუძველი, შემოქმედებას — იმედი. ყოველიფეს საფუძველი კი ამაღლებაა, აზროვნების სხვა რანგი.

ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ორი უაღრესად აუცილებელი მომენტი. ესაა მრავალფეროვანი სამყარო და ამავე დროს ჰარმონია, რომელიც მასში სუფევს. კოსმოპოლიტები ეთაყვანებიან სამყაროს, ამავე დროს უყვართ მამული, როგორც უსასრულო სამყაროს ერთ-ერთი სახე. მათ შემოქმედებაში ეროვნული საკაცობრიომდეა ამაღლებული და საკაცობრიო პრობლემებს შორის ეროვნულსაც გამოკვეთია სათქმელი.

ზოგჯერ კი რატომღაც აბსტრაქტულ ერთფეროვნებას და უაზრობას მიაწერენ კოსმოპოლიტთა შემოქმედებას. ამგვარი შეფასება სწორი არაა, რადგან ამ ცნებაში აუცილებლობით მოიაზრებოდა მრავალფეროვნების შემცველი უსაზღვრო სიცოცხლე და ამავე დროს კონკრეტული, რომელიც ვიწრო ჩარჩოებით არ იზღუდება და „გადის ფართო სარბიელზე. ამ შემთხვევაში უმაღლეს წერტილში ეხება ერთმანეთს საკაცობრიო და ეროვნული. ამის წყალობითაა ეროვნული თავისი ეპოქიდან საკმაოდ შორს გაჩინული და უსასრულოდ ბევრის მომცველი. ინდივიდუალიზმი, განუმეორებლობა და ყოველისმომცველობა უმაღლეს გამოვლენას ჰპოვებს კოსმოპოლიტთა შემოქმედებაში. ამ შემთხვევაში ზედმეტია განსხვავებულთა მტრულ დაპირისპირებაზე ლაპარაკი.

მხოლოდ თეორიული პრობლემებით არ იზღუდებოდა კოსმოპოლიტთა მოღვაწეობა. ისინი მონაწილეობდნენ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტაში. ამ შემთხვევაში ყველა შემოქმედებით ნიჭსა და უნარს (ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება), უამრავი ერისა და თაობის მემკვიდრეობას ერთმანეთთან აქვთ დიალოგი. ყველაფერი ერთად ქმნის აწმყოს, აწმყო კი თავის მხრივ საფუძველს აწყობ ახალ შემოქმედებას უმზადებს. ჭეშმარიტი შემოქმედება სხვადასხვა ეპოქების და ქვეყნების მარადიულ კავშირს ასახავს, ამავე დროს მას მოაქვს ჰუმანურობა, პროგრესი.

კოსმოპოლიტები ნახტომს აკეთებენ იმით, რომ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები მათ შემოქმედებაში თეორიული, ღრმა ფილოსოფიურ პრობლემათა ფონზეა გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში თეორია ნაბიჯს დგამს პრაქტიკისაკენ, ეს გამოიხატება ახალი მყოფობის შექმნაში — რასაც მეტი თავისუფლება ახასიათებს საზოგადოების განვითარების წინა ფორმაციებისაგან განსხვავებით.

ამ ეპოქაში ახლებურად იმადება ყველაფერი. ესაა უკიდურესობამდე მისული კრიზისის ხანა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამოსავალი არის სიკვდილი. უკიდურესობამდე მისული საზოგადოება თავისსავე წიაღში ამზადებს ახალ შემოქმედებას. დიდ მოვლენას წარმოადგენს ამ მხრივ საფრანგეთის რევოლუცია. იგი წყვეტს სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემებს, ამავე დროს საკუთარ თავში არ იკეტება და მოიცავს სხვა ქვეყნებს.

ჩვენ წინაშეა ფართო მასშტაბის რევოლუცია, რომელიც ერთნაირად მოიცავს ყველაფერს, ამ რევოლუციის მიზანი ყველა რანგით და ყველა მასშტაბით თავისუფლების სამსახურია, რაც გულისხმობს ყოველგვარი გაუცხოების წაშლას, მოსპობას. ეს შეიძლება იყოს ადამიანის მეტისმეტი განდიდება, ან პირიქით — მეტისმეტი დამცირება, პიროვნების ჩაკვლა-სოციალური, ეკონომიკური და რასობრივი უთანასწორობა. ყოველგვარი გაუცხოების წინააღმდეგ მიმართული პროტესტია კოსმოპოლიტთა შემოქმედება, იგი საწყისსეულ მთლიანობას აღადგენს ისე, რომ განსხვავებას არ კარგავს, და პირიქით, არაფრად ულიოს განსხვავება, თუკი ერთვევა ჰარმონია.

კოსმოპოლიტის შემოქმედება საინტერესოა იმით, რომ მასში სუფევს მრავალფეროვნება და მრავალფეროვნებაში მსუფევი ჰარმონია. ცალკეული ერები და რასები განუმეორებელი არსებით სამყაროს ფონზე შესანიშნავად აღიქვა ჰეგელმა:

„ფრანგი ერის თავისებურება მდგომარეობს მისწრაფებაში — **ᲑᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ"...** (ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, ტ. III, „გონის ფენომენოლოგია").

რასობრივ განსხვავებებზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში ჰეგელს ამა თუ იმ ერის ან რასის განდიდების ან დამცირების მიზნით არ ჰირდება. მისი აზრით, ფილოსოფიას არ აინტერესებს რასების წარმოშობის საკითხი — ეს არაა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის ბაზის გადამწყვეტელი. ადამიანი თავისთავად გონიერია — ესაა თანასწორობის დამფუძნებელი, თუმცა გონი შეროგორც მფლობელი ნივთისა.

ჰეგელის მიხედვით, მესაკუთრე ნივთის წყალობით იმონებს სხვას, მეორე ადამიანს. მისი აზრით, უნდა გაუქმდეს ყოველი ურთიერთობა, რაც ამკვიდრებს გაუცხოვებას და მონობას. ამ შემთხვევაში შეცდომაა იმის თქმა, რომ კოსმოპოლიტებს სურდათ ყველაფრის საშუალოდ გადაქცევა, რომ მათ უყვარდათ ერთფეროვნება და სიღარიბე. ადეკვატური არაა კოსმოპოლიტთა შემოქმედების ამგვარი შეფასება. კოსმოპოლიტებს სამდიდრე, გამორჩეულობა და რევოლუციები შემთხვევით არ წარმოიშობა, მათ აქვთ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები. ამავე დროს ეს პროცესი არაა მხოლოდ ვიწრო სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით შეზღუდული. ის მთელ ადამიანურ ყოფას შემეცნებით თუ პრაქტიკულ მხარეებს, ცალკეულ ქვეყნებს, მასთან ერთად მსოფლიოს მოიცავს. ცხადია, რომ ამგვარ პროცესში ახალი ვერ იქნის იმ გზით დაიმ ფორმებით, რაც ძველმა გამოიყენა. პროგრესისაკენ სვლა მომავალში უნდა განხორციელდეს პროგრესული ფორმებით.

კოსმოპოლიტთა შემოქმედება რევოლუციურ გარდამტეხ ნაბიჯთა დროა. ამ პროცესში არაფერია მიჩქმალული, საჯაროზე გამოდის ბევრი რამ. მაგრამ ეს პროცესი არაა მხოლოდ გამოვლენის, არამედ რადაცის დამკვიდრების და ამავე დროს რადაცის აღგვის პროცესი. ამ დროს ბევრია მოძრაობას აყოლილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველაფერს არ შეუძლია დაიმკვიდროს ადგილი. მკვიდრდება ის, რაც ჰუმანურია, ჩვენს წინაშეა საინტერესო პროცესი: ირღვევა წარმოების ფეოდალური წესი, ამავე დროს მის წიაღში წარმოება კაპიტალისტური წესი წარმოიშობა. მეცნიერების და ტექნიკის აღმავლობამ, ამ დროს რომ მოხდა, ვერანაირი შეზღუდულობა — ზნეობრივი, სოციალური და პოლიტიკური ვერ აიტანა და სულ სხვა, მაღალი მყოფობა მოითხოვა.

საზოგადოების განვითარების მამოძრავებელია ეს მისწრაფება, ამავე დროს იგი არც ერთ სიტემაში არ ეტევა, მაგრამ მაინც, მ

თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად: ფიქრები ხმამაღლა

ვაჟა

ამბობენ, უკვე სნეულმა ვაჟამ საავადმყოფოს მომვლელ ქალს სთხოვა, რომ იატაკზე დაეწვინათ და გარშემო ახლად მოცელილი ბალახი და ყვავილები დაეყარათ.

ვინ იცის.

იქნებ მართლაც იყო ასე და ამაში არც არაფერია გასაკვირი.

თუნდაც იმიტომ, რომ ფშაველი ვაჟა— ლუკა რაზიკაშვილი— სიკვდილის წინ, უკანასკნელ ამოსუთქვამდეც ბუნების შვილი, მისი მესაიდუმლეა.

— ახლად მოცელილი ბალახი და ყვავილები დამიყარეთო.

იქნებოდა ასე.

უთუოდ იქნებოდა.

მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ ეს არ იყო მომაკვდავის უბრალო კაპრიზი, მისი უკანასკნელი და ახირებული სურვილის დაკმაყოფილებით ნაკარნახევი მუდარა.

მე მეჩვენება, რომ ამაში სიცოცხლის გახანგრძლივების ან იქნებ გადარჩენის იმედიცაა, რამეთუ ვაჟა ბუნების სუნთქვით ცხოვრობდა.

ვაჟა ფშაველას მსოფლმხედველობის ერთი მთავარი წყარო სათავეს ანიმიზმიდან იღებს. ესე იგი, პირველყოფილი აზროვნებიდან მომდინარე და ხალხში გავრცელებული რწმენიდან, რომლის მიხედვითაც ყოველი საგანი ბუნებაში სულიერია, ყოველ მათგანს თავისი სული აქვს. იყო მეორე მსოფლმხედველობრივი საწყისიც, რომელიც პანთეიზმს უკავშირდება და რომლის მიხედვითაც, ბუნება ღვთაებრივი სულიერთაა გაჟღენთილი, ესე იგი ღმერთი განუყოფელია ბუნებისაგან და ბუნებაშივე ვლინდება.

ვაჟა:

— რატომ არ მღერით მთებო?

— ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი.

— სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა.

—გადმოხრილიყვნენ მთანიცა. ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა.

— საბრალო ირემი ზღვაში იმალებოდა და ეხვეწებოდა ღმერთს; „ღმერთო, როდემდის უნდა ვიყო დევნილი, დაჩაგრული, შეურაცხყოფილი?"

— დაბრძენებულ ადამიანს აქვს ბუნების მოსმენის უნარი და ესმის კიდეც მისი.

— ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველნი, როდის ილხენენ, წვალობენ.

იმიტომ ესმის მათი, რომ:

— რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო.

მაგრამ, თუ გესმის მისი, არც ღალატის უფლება გაქვს. ბუნებას ამ დროს გაბუტვაც შეუძლია, დამდურებაც.

და მაშინ:

— ყვავილნი ხმას აღარ მცემენ, აღარც ვარსკვლავნი ღამეო.

გასულიერებული ბუნება.

ეს ჩემი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ნააზრევიაო, — მეუბნება ვაჟა. ეს ნააზრევი მე მხატვრულ სახეებში გადმოვეცი ბუნების გასულიერების გზით და მეშვეობითო.

ჩემთვის ამის თქმაც საკმარისია.

სხვა დანარჩენი მე უთქმელადაც ვიცი. მაგალითად ის, რომ ვაჟას ლირიკაში დომინირებს პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა, ქალის სიყვარული. ისიც, თუ რაოდენ მახლობელია ჩემთვის დღეს, ვაჟას იმდროინდელი ღაღადისი საყოველთაო სიყვარულისა და სიბრალულის თაობაზე, ან მისი პოზიცია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართებაში, მისი ბრძოლა სიკეთისათვის ბოროტების წინააღმდეგ.

მე გადმომედო მისი ღრმა განცდები იმდროინდელი ზნეობრივი დაცემულობის გამო და ასე აღმოვჩნდი დევნების ქორწილში, სადაც „ძმის ხორცი როგორა ვჭამო? ყმა ვინმე გამოპკიოდა".

ვაჟას იმდროინდელი სატკივარი ჩვენი დღევანდელი ტკივილიცაა.

ჩვენი დიდი წინაპრები ამ სატკივარის მკურნალობაშიც გვეხმარებიან.

ილიასა და აკაკისთან ერთად, ვაჟაც ჩვენთან არის დღეს, ჩვენს გვერდით დგას და ომახიანად შემოგვძახის: „ულო არ გატყდე, გამაგრდი, კლდეო, კვლავ იდექ სალადა!"

(დასაბეჭდი 3-ე გვ.).

ვდგევართ ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნაზე. ვდგევართ და ყურადღებით ვუსმენთ ვაჟას ვითარცა ცოცხალს და მდგომს ჩვენს გვერდით სწორედ დღეს, სწორედ ახლა. იგი დღესაც განსაცვიფრებლად მართალია.

ვაჟა:

— ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმასვე მიაქვს, ხოლო არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მავნებელია. დრო, რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ განყენებულად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა. დღევანდლამდის სიმართლეს ჯადოდ აწვა გონებრივი სიჯიუტე, ხოლო დღეს მან მოიგებინა ჯადო, აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავის ღრუბლებიდან, და იძახის: „აქა ვარ, არ მომკვდარვარ!" „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო". ჩვენს ისტორიულ ხანას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმალავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივაო, გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგიკად ჩავარდნილი, დაკუტებულ-დამუნჯებული. დღეს კი, როცა ტკივილი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღეღა გულ-მკერდი და დაგვანახა ზედ ღრმად დაჩნეული წყლულები: „მიექიმეთო. ყველა ჭკვასაღი", შორსგამჭვრეტი ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო. მოხდა კიდევაც და დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა, აღარ ჰმალავს მშიერი შიმშილს, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას. ბალღებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღვწიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიპოვონ. ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს, ვისაც სატირალი არა აქვს რა, არცა ტირის; ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის... დიაღ, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას; როგორც გაწბილებული მატყუარა, ცდილობს გაიპაროს ისე, რომ ფეხები არ დაემტვრეს... დროა და!

კი ცდილობს, მაგრამ ფეხმომტვრეული მაინც ავისმომასწავებელია.

ძველადაც ასე ყოფილა, ვაჟას დროს. ადრეც, მერეც და ასეა ახლაც.

აბა, დავაკვირდეთ და განვსაჯოთ.

ვაჟა:

— საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას.

საცა თავისუფლება არ არისო.

მართალია ეს.

აბა, ჩვენი დღევანდელობისათვის დამახასიათებელი ეთნოკონფლიქტების მიზეზი რა არის? რის შედეგია ეროვნული ურთიერთობების ესოდენი გამწვავება, თუ არა იმისა, რომ სწორედ თავისუფლებანართმეულ ხალხებს შორის იჩინა თავი მტრობამ, ქიშპობამ, სისხლისმღვრელმა ძალადობამ. ამ მხრივ თავად რუსეთშიც დაძაბული მდგომარეობაა, თუნდაც მოსკოვში, ლენინგრადში, სხვაგანაც, რამეთუ არც რუსი ხალხი აღმოჩნდა თავისუფალი. ჯერაც არ წაშლილა მეხსიერებიდან მთიანი ყარაბახის გოდება; სუმგაითი, ბაქო და მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანელების დაღვრილი სისხლი; არც ფეხებინა ჯადო, აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავის ღრუბლებიდან, და იძახის: „აქა ვარ, არ მომკვდარვარ!" „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო". ჩვენს ისტორიულ ხანას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმალავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივაო, გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგიკად ჩავარდნილი, დაკუტებულ-დამუნჯებული. დღეს კი, როცა ტკივილი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღეღა გულ-მკერდი და დაგვანახა ზედ ღრმად დაჩნეული წყლულები: „მიექიმეთო. ყველა ჭკვასაღი", შორსგამჭვრეტი ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო. მოხდა კიდევაც და დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა, აღარ ჰმალავს მშიერი შიმშილს, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას. ბალღებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღვწიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიპოვონ. ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს, ვისაც სატირალი არა აქვს რა, არცა ტირის; ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის... დიაღ, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას; როგორც გაწბილებული მატყუარა, ცდილობს გაიპაროს ისე, რომ ფეხები არ დაემტვრეს... დროა და!

ამ ადგილას ეროვნული ურთიერთობანი ერთ-ერთ ძირითადად, ალბათ, ყველაზე ტკივილიანად ... ეროვნულ ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისლამი და აერობიკა

„მამაკაცებისათვის შესვლა აკრძალულია“, „ქალებმა სახე ჰიჯაბით უნდა დაფარონ“ — ასეთი მკაცრი წარწერები ხვდება ქალების სატანვარჯიშო ცენტრში „ყასმინში“ მომსვლელებს. ეს ორსართულიანი შენობა თეირანის ერთ-ერთ გარეუბანში — სორაიაშია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ შესასვლელთან მდგარი მოღუშული მცველი წესრიგის ნებისმიერ დარღვევს შეიძლება ეცეს. კვირაში სამჯერ საფეხურებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლები აუყვებიან, თუმცა ამის მიხედვა საკმაოდ ძნელია — ისინი შავ მოსასხამებში არიან გახვეული და სახესაც ჩადრი უფარავთ.

მაგრამ საკმარისია კარები დაიხუროს და ეს „მონაზვნები“ საოცრად იცვლებიან. სატანვარჯიშო დარბაზში, რომლის კედლებზე ისლამური რევოლუციის ლიდერის იმამ ჰომეინის უზარმაზარი ფერადი პორტრეტები კიდია, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალები იკრიბებიან. შირინი, აზადე, ბატული, ზუჰრა და სხვები თითქოს ივიწყებენ ჩადრს და აერობიკის მშვენიერ სამყაროში იძირებიან.

— ხელისუფალთ ესმით მათი, ვინაიდან აერობიკაში ფიზიკური ვარჯიშის იმ ნაირსახეობას ხედავენ, რომელიც არ ეწინააღმდეგება ისლამური რელიგიის კანონებს, — უთხრა ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს „ყასმინის“ მწვრთნელმა. — ეს ბალეტი არ არის, რომელიც ცეკვაა და ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია. ჩვენ ნება გვაქვს დართული შეესრულოთ კინომსახიობ ჯეინ ფონდას ის ვარჯიშები, ტელევიზიით რომ აჩვენებენ. მხოლოდ მუსიკალური რიტმია ოდნავ შეცვლილი და სიმღერიდან სიტყვებია ამოგდებული — თავის დროზე იმამი ჰომეინი ხომ მათ ანტიისლამურ მიმართულებაზე ლაპარაკობდა.

უკანასკნელ სამ წელიწადში ირანის დედაქალაქში სულ უფრო მეტი ქალი დადის კლუბებში. ბატული ერთ-ერთი მათგანია.

— ცენტრში სიარული იმისთვის დავიწყე, რომ ფორმა შევინარჩუნო და ქმრისთვის ყოველთვის მიმზიდველი ვიყო, — ამბობს იგი. — სიტუაციაც მომწონს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ, სადაც ტანსაცმელი შეიძლება გაიხადო და ჩადრიც ჩამოიშოროო.

ირანელ ქალებს უჩადროდ სიარული მხოლოდ ქმრის, მამამთილის, ძმის, ბიძის ან ბავშვის თანხლებით შეუძლიათ. ისლამური კანონების მოწინააღმდეგედ რომ არ გამოჩნდეს, ბატული უეცრად მათ დაცვას იწყებს: სწორედ ჩადრი აძლევს ქალს იდუმალ ქალურ იერს.

— არაჯ ჩადრი სატუსაოს წესების ტოლფასია, — მკვეთრად ერთვება საუბარში შირინი. — ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ყველგან უნდა ატარო შავი მოსასხამი და ჰიჯაბი.

მას კვერს უკრავს აზადე: — მართო ვერსადაც ვერ წახვალ.

ზაჰრა დიდ ბრიტანეთში სწავლობდა, მაგრამ სალმან რუშდის გახმაურებული წიგნის „სატანური ლექსების“ ამბის გამო იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ზაჰრა შეთქმულს მოგაგონებთ.

— ისლამურ რევოლუციამდე, — იღიმება იგი, — მე არ შემეძლო პლაჟზე ჩადრით მისვლა. შაჰის პოლიცია ყველას აჩერებდა და სეიროზულად აფრთხილებდა, პლაჟზე შესვლა მხოლოდ საბანაო კოსტუმებით შეიძლებაო. ახლა კასპიის ნაპირებზე ცალკე პლაჟებია — მამაკაცებისათვის და მოშორებული ქალებისათვის, სადაც ჰიჯაბით შეიძლება მისვლა. 1979 წლიდან დრო თითქოს შემობრუნდა. ამიტომ, როდესაც აერობიკაზე მივდიეარ და მუქ მოსასხამს ვიხდი, სულითა და ხორცით ვისვენებ....

იაპონელი პრემიერი... მიზანში

ეს ჩვეულებრივი რეისი იყო. პანამის ტვირთმზიდი „გარკელასო“, რომლის ეკიპაჟი პერუელებისა და კოლუმბიელებისაგან შედგებოდა, პერუს ნავსადგურ კალაოდან გამოვიდა და გეზი იაპონიის ნაპირებისკენ აიღო. იოკოჰამაში მორიგეობისაგან თავისუფალი მეზღვაურები ქალაქში გაუშვეს.

უცხო ნავსადგურში მეზღვაურებს ერთი გეგმა აქვთ ხოლმე — რეისის დაძაბულობა „ალკოჰოლური ბალასტის“ მეშვეობით მოიხსნან. მაგრამ პერუელი გალვეს კასტიიო და მისი სამი კოლუმბიელი კოლეგა სხვაგვარად მოიქცნენ. იოკოჰამაში კასტიიოს უკვე ელოდებოდა კოლუმბიური წარმოშობის ვიღაც ოკრომეედელი. იგი სპეციალურად ჩამოვიდა იბარაკის პრეფექტურის ქალაქ კასიმოდან. მათი საუბრის დეტალები მოგვიანებით გახდა ცნობილი, იმ დღეს კი პერუელი ზუსტად ერთი კილოგრამით „გახდა“. კოლუმბიელებმაც გემზე დაბრუნების წინ ნაპირზე 24 კილოგრამი „ზედმეტი წონა“ დატოვეს. ხოლო როდესაც თვენახევრის შემდეგ ხომალდი კვლავ შავიდა იოკოჰამაში, ნაპირზე მას მოუთმენლად ელოდა... პოლიცია.

საბაჟოს მოხელეებმა გემის კაპიტანს ჩხრეკის ორდერი წარუდგინეს და გულდასმით დაათვალიერეს ხომალდი. მართალია, ვერაფერის აღმოჩენა მათ ვერ მოახერხეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან პირველი შემოსვლისას მეზღვაურების მიერ დატოვებული მთელი „ტვირთი“ იაპონიის პოლიციის ოქმებში უკვე დაფიქსირებული იყო, როგორც კოკაინის კონტრაბანდის ნივთმტკიცება. გემი მიწერის ნავსადგურში დაბრუნდა, ოთხი კონტრაბანდისტი კი ადგილობრივ ციხეში მიიბარეს.

ამ შედარებით მოკრძალებული ნარკოისტორიის ექმ კოლუმბიასაც მიაღწია და კვლავ ამომავალი მზის ქვეყნის ნაპირებს დაუბრუნდა ოოონდ პოლიტიკური ცუნამის სახით. ტოკიოს პოლიციის სამმართველოში ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს ესპანურად დაწერილი სამი წერილი დაკავებულთა გათავისუფლების მოთხოვნით. ისინი იაპონიიდან იყო გაგზავნილი. უარის შემთხვევაში „მედელინის კარტელი“ — სამხრეთ ამერიკის ნარკოტიკებით მოვაჭრე უდიდესი ორგანიზაცია — იაპონის პრემიერ-მინისტრის ტოსიკი კაიფუს, პარლამენტის დეპუტატის კოკეტი სიმოინაბას (იგი იაპონიას წარმოადგენს გაეროს ნარკოტიკების საბაჟო კონფერენციაზე) და ტოკიოს პოლიციის სამმართველოს უფროსის ტატიო ოოჰორის, აგრეთვე გამომძიებლების მოკვლით იმუქრებოდა. მუქარის დასაბუთებისას ნარკომფია აშკარად აცხადებს, რომ კოკაინით ვაჭრობის დარღვევის მცდელობით იაპონიის ხელისუფლება კარტელს შემოსავლის წყაროს უსპობს, რომელიც, წერილის ავტორთა აზრით, ფულის მომპოვებელი „სოციალური საზოგადოებაა“.

იაპონიის მთავრობის გამოწვევით კოლუმბიის ნარკომაფიამ, როგორც ჩანს, ვა-ბანკზე წასვლა გადწყვიტა. ამგვარი ნაბიჯი უწინარესად იმით არის ნაკარნახევი, რომ ახლა აშშ და კოლუმბიის მთავრობების მოქმედების შედეგად გადაიკეტა კოკაინის სამხრეთ ამერიკიდან ჩრდილოეთში ტრანსპორტირების მრავალი მარშრუტი. ამან კოლუმბიის ნარკომაფიის დიდძალი დანაკლისი მიაყენა, შესაბამისად აუცილებელი გახდა ახალი მარშრუტების შემუშავება და გასაღების ახალი ბაზრების მოძებნა.

თავისი ლოგიკა აქვს იმასაც, რომ კოლუმბიის ნარკოსტრატეგებმა მზერა იაპონიის მიაპყრეს. 60-70-იან წლებში საერთაშორისო ნარკოსინდიკატები იყენებდნენ იაპონიას ცნობილი „ოქროს სამკუთხედიდან“ ჰეროინისა და ოპიუმის აშშ-ში ტრანსპორტირებისათვის. მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისისთვის მრავალი სახელმწიფოს, უწინარესად მალაიზიისა და იაპონიის მცდელობით კოკაინის ეს „მილსადენი“ გადაიკეტა. სხვათა შორის, სწორედ ამან შეუწყო ხელი კოკაინის ჯომლოუნგმას სწრაფ ზრდას სამხრეთ ამერიკაში. იაპონიაში კი 1989 წელს ზრდილმა და გამოცდილმა პოლიციელებმა მხოლოდ 168 გრამი კოკაინისა და 18 კილოგრამი ჰეროინის კონფისკაცია მოახდინეს. ახლა კოლუმბიელმა ნარკობარონებმა განიზრახეს „კოკაინის მილსადენის“ წყნარ ოკეანეზე გადება და თავისი იაპონელი რეზიდენტები ჩართეს საქმეში.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის წარმომადგენელმა უარი თქვა ჟურნალისტებისთვის მუქარისათვის მთავრობის ხელმძღვანელის მიმართ. თუმცა ოფიციალურ პირთა დაცვის ღონისძიებები, რა თქმა უნდა, გაძლიერდა. ბოლო წლების მოვლენები კოლუმბიაში ცხადყოფს, რომ ნარკობარონებმა იციან სიტყვის შესრულება.

როცა სიმშვიდე გწყურია

მივლინება ზურმუხტისა და ნარკომაფიის ქვეყანაში

კოლუმბია ქართველი კაცისთვის არც მდებარეობით და არც კონტაქტებით ახლობელი ქვეყანა არ გახლავთ. თუმცა მისი ბუნება, კოლუმბიის ახლანდელ მკვიდრთა ხასიათი და ტემპერამენტი საქართველოს ძლიერ გაგონებთ.

იგი სიდიდით ლათინური ამერიკის მეხუთე სახელმწიფოა და აღემატება საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის ერთად აღებულ ტერიტორიას.

კოლუმბია ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი ცხელი წერტილია. მართალია, აქ ომის განუწყვეტელი ცეცხლი არ გიზგიზებს და ქვემეხების მუდმივი გრიალი არ ისმის, მაგრამ აფეთქება და მკვლელობა არცთუ იშვიათია.

ამავე დროს ეს ის მეზობელია, რომელიც ყოველდღიურ პრობლემას უქმნის ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს შეშფოთება გამოსჭვივის პრეზიდენტ ბუშის არაერთ გამოსვლაშიც.

დიახ, ნარკობიზნესმა, რომელმაც ასე მოიკიდა ფეხი ამერიკის კონტინენტზე, სნორედ კოლუმბიაში დაიდო სათავე. საოცარი ის არის, რომ კოკაინის მწარმოებელ ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემა არ დგას. იგი სხვას უქმნის ამ პრობლემას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც კილოგრამი მზა პროდუქციის ფასი 100 ათასიდან 200 ათას დოლარამდე მერყეობს. ასე მოიხვეჭა ნარკობიზნესის სახელმწიფოს სახელი კოლუმბიამ სულ რაღაც ათ წელიწადში.

ამ ათიოდე წლის წინათ კი, როცა პირველად მომიხდა კოლუმბიაში ჩასვლა, იქ ზურმუხტის ბუმი სუფევდა. ზურმუხტის საბადოები, რომლებიც მსოფლიო მარაგის ოთხმოცდაათ პროცენტს იძლევა, კერძო პირთა ხელში იყო. მათვე გაეხსნათ ბოგოტაში ურიცხვი სპეციალური მაღაზიები, სადაც ავტომატებითა და კარაბინებით შეიარაღებული მცველები დარაჯობდნენ თავიანთი პატრონების ქონებას.

ახლა ზურმუხტის კერძო მაღაზიებს ბოგოტაში ასე ჭარბად ვეღარ შეხვდებით. ზურმუხტზე მონოპოლია სახელმწიფომ იგდო ხელთ, კერძო პირები კი, გარდა კვირა დღისა, ქალაქის ერთ უბანში ხალხრავად ბაზრობას მართავენ. „საქონელს“ ჯიბიდან იღებენ ან ჩემოდნებში ჩალაგებულს გადმოგიშლიან, მაგრამ ადრე მაღაზიების მიერ მოყიდული ზურმუხტის სინაღდე და სიამედოობა აქ გამორიცხულია, რადგან ადვილი შესაძლებელია ძვირფასი ქვის ნაცვლად მწვანე შუშა შემოგაპარონ.

ასე თუ ისე, ზურმუხტის ვერც ძველი და ვერც ახალი ციებცხელება ნაკრობიზნესის ბუმს ვერ შეედრება. მეტიც, ნარკობიზნესმა უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ამ ათიოდე წლის წინათ, ბოგოტაში რამდენიმე ცათამბჯენი იყო. დღეს ცათამბჯენების ტყე დგას. განსაკუთრებით იტაცებს თვალს ქალაქის ჩრდილოეთი მხარე; ახლა ბოგოტა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. იგი მთის ფერდობებზეა გაშენებული და ფუნიკულიორითა და გარშემორტყმული ამნვანებული მთებით ძლიერ ნაგავს თბილისს.

აქ ყველამ იცის, რომ ახალმშენებლობები და ულამაზესი უბნები ნარკობიზნესის დამსახურებაა.

— ფულს არც სუნი აქვს და არც ბანკის მოხელეები კითხულობენ, საიდან შედის მათთან ამდენი დოლარი, — გვეუბნება კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხილბერტო ფიეირა. — ამ უბედურებას ის სიკეთე მოაქვს მაინც, რომ გარკვეული თანხა ქალაქის გამშვენიერებას ხმარდება.

ხილბერტო ვიეირა არა მარტო ნარკომაფიით არის უკმაყოფილო, არამედ თვით მთავრობის საქმიანობითაც, რომელმაც ვერ შეძლო ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მიღებული კონსტიტუციის შეცვლა. ამიტომ კოლუმბიის კომუნისტურმა პარტიამ მონანილეობა არ მიიღო ახლახან გამართულ არჩევნებში; საერთოდ კი ამ არჩევნებში მოსახლეობის მხოლოდ 60 პროცენტი მონანილეობდა.

ჩვენი ჩასვლა ბოგოტაში სწორედ არჩევნების მომდევნო ზეიმს დაემთხვა. წინა დღეს, 27 მაისს, სახელმწიფოს პრეზიდენტი გახდა ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი, 43 წლის სესარ გავირია. მან, როგორც პროგრესული ადამიანები გარწმუნებენ, დამსახურებულად გაიმარჯვა, ოღონდ ვიდრე პრეზიდენტის სავარძელს მიაღწევდა, არაერთ ცხედარს გადააბიჯა...

ქვეყანაში ფრიად დაძაბული ვითარებაა და ეს მარტო ნარკობიზნესით არ არის გამოწვეული.

დიდი ხანია ბუკარამანგის მთებში აგანყებულთა სხვადასხვა მოიერიშე რაზმები მოქმედებენ, რომლებიც პარტიზანებად ინოდებიან. ისინი თავდაპირველად მთავრობას განუდგნენ, რადგან ვერ მიაღწიეს მისგან კონსტიტუციის შეცვლას და სახელმწიფო წყობის რადიკალურ გარდაქმნას.

ამ პარტიზანული რაზმებიდან ყველაზე რეაქციულია ე. წ. „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“. ისინი კოლუმბიის არმიის ზოგიერთი მტრულად განწყობილი ხელმძღვანელის ნებას გამოხატავენ, არ ერიდებიან ტერორს და სისხლისღვრას. თავიანთი განწყვეტელი და მოულოდნელი თავდასხმებით განსაკუთრებით გამწარებული ჰყავთ ადგილობრივი გლეხობა. ამ რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთ სოფელში 25 გლეხი დახვრიტეს იმ საბაბით, რომ ისინი უთანაგრძნობენ არსებულ ხთავრობას.

ყველაზე პროგრესული და რევოლუციური პარტიზანულ რაზმებს შორის იყო „მოძრაობა — 19 აპრილი“, რომლის 880 წარმომადგენელი თაკისი ლიდერის კარლოს პისაროს მეთაურობით მიმდინარე წლის 19 მარტს ჩამოვიდა მთიდან და დაყარა იარაღი იმ მოტივით და მთავრობასთან შეთანხმებით, რომ შუუდგებოდა მშვიდობიან ცხოვრებას და მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას. ასეც მოხდა, წინასაარჩევნო კამპანიაში კარლოს პისარომ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, საკმაოდ სოლიდური ხმები შეაგროვა, რამაც შეაშფოთა სხვადასხვა წრეები. და აი, 27 აპრილს, როცა კარლოს პისარო შეიარაღებული მცველების თანხლებით ბოგოტიდან ქვეყნის სამხრეთში მიფრინავდა, 16 წლის დაქირავებულმა მკვლელმა თვითმფრინავში საიმედოდ გადამალული ავტომატი გადმოიღო და კარლოს პისაროს დაახალა (თუმცა მკვლელიც მყისვე გამოასალმეს სიცოცხლეს).



პისაროს მკვლელობამდე ასეთი საშუალებით კიდევ ორი პრეზიდენტობის კანდიდატი ჩამოშორეს გზიდან დაძაბულობის მომხრეებმა — ლიბერალური პარტიის ლიდერი ლუის გალანი და პატრიოტული კავშირის ხელმძღვანელი ბერნარდო ხარამილიო.

ნარკომაფიის ბელადმა პაბლო ესკობარმა პისაროსა და ხარამილიოს შესახებ ოფიციალურად განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას მათი მკვლელობისათვის ინსნის, მაგრამ ჯერჯერობით ჭეშმარიტება დაუდგენელია. ფაქტი კი ის არის, რომ პაბლო ესკობარი თითოეული პოლიციელის მოკვლისთვის გასამრჯელოდ იღებს 2 ათას დოლარს, ხოლო ნარკობიზნესთან საბრძოლველად შექმნილი სპეციდანაყოფის თანამშრომლის მოკვლისათვის — 10 ათას დოლარს. მარტო მაისის თვეში ქალაქ მედელინში (სადაც „ნარკობიზნესის კარტელის“ ადგილსამყოფელია) 25 პოლიციელი მოკლეს.

მოსახლეობა მუდმივ შიშსა და ფსიქოზს განიცდის. კოლუმბიის ქალაქებში და განსაკუთრებით ბოგოტაში ხშირია აფეთქებები, რასაც მსხვერპლად ენირებიან უდანაშაულო ადამიანები.

პისაროს დასაფლავების დღეს ანტონიო ნავარომ მეგობრის კუბოსთან სიტყვა დადო, რომ ნესრიგს დამყარებდა კოლუმბიაში და მიაღნევდა საერთო შერიგებას.

ნავაროს ფიცმა ხალხს იმედი ჩაუსახა, რამაც დადებითად იმოქმედა პრეზიდენტის არჩევნების დროს, როცა „მოძრაობა — 19 აპრილის“ ლიდერი გავირიას შემდეგ ხმათა რაოდენობით მესამე ადგილზე გავიდა და ამით თავისი პარტიზანული რაზმი სახელმწიფოში რიგით და მნიშვნელობით მესამე პოლიტიკურ პარტიად გადააქცია.

რით დაამყარებს ნავარო ნესრიგს კოლუმბიაში? ცხადია, მარტო სიტყვით არა. ამისთვის, ალბათ, ძალა და კვლავ შეიარაღებაა საჭირო.

ხალხს ანტონიო ნავაროსი უფრო სჯერა, ვიდრე მომავალი პრეზიდენტისა. ამიტომ იგი მუდმივი ყურადღების ცენტრშია.

ჩემი თანამგზავრი კოლუმბიაში — „იზვესტიის“ მიმომხილველი ვლადიმერ ბაი გვთავაზობს: „მოდი, შევაღნიოთ „მოძრაობა — 19 აპრილის“ შტაბ-ბინაში“. მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა. მას შემდეგ, რაც მოჰკლეს კარლოს პისარო, მოძრაობის ნევრებმა თითქმის თავიდან აისხეს საბრძოლო საჭურველი, შტაბ-ბინას თავით ფეხამდე შეიარაღებული გაძლიერებული რაზმი იცავს და წინასწარი საგანგებო მოლაპარაკებისა და ნებართვის გარეშე იქ ჩატიც ვერ შეფრინდები.

დახმარებას აღგვითქვამენ საბჭოთა საელჩოს პრესატაშე და ჩვენი მასპინძელი — ბოიაკას დეპარტამენტის ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ჰენრი სანჩესი. ტელეფონის პირველი ზარი უშედეგოა — მოძრაობის შტაბ-ბინიდან გვიპასუხებენ, რომ მეტისმეტი მოუცლელობის გამო ვერც კი შეგვპირდებიან, თუ როდის შეეძლებათ ჩვენთან შეხვედრა, მაგრამ გვთხოვენ, მაინც დავრეკოთ მეორე დღეს. ეს დღეც შედეგს არ იძლევა და ვადას კიდევ ერთი დღით გადაწევენ.

და აი, მესამე დღეს ნებას გვრთავენ გავიაროთ რამდენიმე საგუშაგო და პატარა ორსართულიან სახლს მივადგეთ. იგი ბოგოტის განაპირას, ტყესთან ახლოს მდებარეობს. სახლთან ოცამდე შეიარაღებული ახალგაზრდა დგას. უცხო ადამიანების დანახვაზე მასლაათს წყვეტენ და გარინდებულნი გვიყურებენ. ერთი მათგანი შორი-ახლო მდგომ ავტომანქანას ჩვენსა და სახლს შორის ჩაყენებს, ავტომანქანიდან გადმოდის და მხარზე ჩამოკიდებულ პატარა ავტომატს, რომელიც ჩვეულებრივი პისტოლეტისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ დაახლოებით 30-40 სანტიმეტრის სიგრძის სავაზნე აქვს, ორთავე ხელს შემოაჭდობს და საბრძოლო მდგომარეობას იღებს.

— აი, ასეთი ავტომატით მოკლეს პისარო, — ამბობს ჰენრი სანჩესი.

დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ სახლიდან გამოდის საწდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი და თავაზიანად გვეპატიჟება; კარის ზღურბლთან კისრიდან ფეხის ტერფამდე საგულდაგულოდ გეჩხრეკენ, მერე ნებას გვრთავენ ავიდეთ მეორე სართულზე, მაგრამ კიბის რამდენიმე საფეხურის აკლის შემდეგ უკან გვაბრუნებენ და გულზე გვაბნევენ სპეციალურ ლითონის ფირფიტებს, იმის ნიშნად, რომ ჩვენ პრესის წარმომადგენლები ვართ.

პატარა ოთახში, სადაც მხოლოდ მაგიდა და რამდენიმე სავარძელი დგას, ველოდებით ანტონიო ნავაროს ვოლფს, რომელიც, ჩვენი მასპინძლების თქმით, ადგილობრივ ტელევიზიას აძლევს ინტერვიუს.

უცებ ღია ფანჯარაში ჯერ ავტომატის ლულა შემოძვრება, ხოლო შემდეგ სახურავიდან გადმობობდება პატარა ბიჭი, მის მაშინვე შეცვლის მეორე, რომელიც ასევე ფანჯრიდან აცოცდება სახურავზე საგუშაგოდ.

და ბოლოს, გვესტუმრება ანტონიო ნავაროვ, რომელიც არაფრით არ ჰგავს აგანყებულთა ბელადს, ან ისეთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს, რომელზეც გვაქვს დასახული: პირველი — მივალნიოთ შერიგებას და მტკიცე მშვიდობას კოლუმბიელებს შორის; მეორე — ქვეყნის პოლიტიკური განახლება, კონსტიტუციური ასამბლეის მოწვევა, მასში მთელი ხალხის ფართო დემოკრატიული მონაწილეობა; მესამე — ეკონომიკური და სოციალური განვითარება; მეოთხე — ბოლივარის სულისკვეთებით რეგიონალური ინტეგრაცია. აი, ამ ოთხ ბურჯს ემყარება ჩვენი პროგრამა, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა განხორციელდეს.

— რით ხსნით თქვენს წარმატებას არჩევნებში?

— უნინარესად ჩემი ხალხის მისწრაფებით მშვიდობისადმი. იგი ძლიერ შეავიწროვა სამოქალაქო ომმა. ვფიქრობ, რომ კოლუმბიელებმა ჯერეოვნად შეაფასეს და დააფასეს ჩვენი ის მისწრაფება, რომ ბოლო მოეღოს ძალადობას. ამას გარდა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენს მონანილეობას ბევრი სამართლიანად უკავშირებს ცვლილებათა იმედს. ჩვენ შევძელით დაგვემყარებინა ბალანსი მშვიდობასა და გარდაქმნათა პერსპექტივას შორის. ამგვარად, ჩვენ წარმოვადგენთ იმ ძალას, რომელსაც ძალუძს განახლება მშვიდობიანი გზებით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ტრადიციულმა პარტიებმა, რომლებმაც არ წამოაყენეს ახალი კონსტრუქციული პროგრამები, ბოლო ხანს დაკარგეს ნდობა და ავტორიტეტი ამომრჩევლებში.

მინდა ნაწილობრივ ეს წარმატება სანტიმენტალური მიზეზებითაც ავხსნა. ბევრი კოლუმბიელისთვის კარლოს პისაროს დაღუპვა იქცა უდიდეს უსამართლობად. შემზარავმა ანგარიშსწორებამ უკუფეფექტი გამოიღო: პისაროს ხომ ის ლიდერი იყო, რომელიც, თუ იტყოდა, შეასრულებდა კიდეც. იგი მშვიდობიანი კონსოლიდაციისა და ცვლილებათა თავისებური დროშა გახდა.

ჩვენ გვქონდა მეტად ხანმოკლე წინასაარჩევნო კამპანია. მიმაჩნია, რომ კარგად გამოიყენეთ სატელევიზიო გამოსვლები, რისთვისაც საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ჩვენთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან უნიშროების თვალსაზრისით მე, როგორც კანდიდატმა, არ შემეძლო ქუჩაში გამოჩენა. 28 დღე, შეიძლება ითქვას, შინაპატიმრობაში გავატარე. ამის შემდეგ პირველად ქუჩაში გავედი კვირას — არჩევნების დღეს.

— როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება წინასაარჩევნო ალიანსისადმი და როგორია თქვენი სტრატეგია არჩევნების შემდეგ?

— საერთოდ, მე მივესალმები ერთობლივ ღონისძიებას რაიმე მიზნის მისაღწევად, მაგრამ არ შეიძლება ილაპარაკო მშვიდობაზე და იმავე დროს განამტკიცო ომის სტრატეგია, როგორც ამას ჩვენი მთავრობა აკეთებს. მეორეც, ჩვენ გამოვედით, როგორც განმაახლებელი ძალა და ჩვენი მთავარი დევიზია — კონსტიტუციური ასამბლეის მოწვევა კოლუმბიის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ ასამბლეას შეუძლია შეცვალოს ქვეყნის ძველი კონსტიტუცია, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიღეს და ამდენად დღეს ველარ გამოხატავს ერის ინტერესებს.

შევაჯამებ რა, ვიტყვი, რომ ჩვენ მთავრობას ვთავაზობთ დემოკრატიულ, ეროვნულ პროექტს, რომლის მიზანია განახლება.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ის აგანყებულ დაჯგუფებებთან, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ტერიტორიაზე?

— ჩვენ გვინდა მათ რეალურად დავეხმაროთ მთავრობასთან მოლაპარაკებაში, რადგან გვსურს კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება. რაც შეიძლება პატიოსანი და სამართლიანი იყოს.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ნარკომფიისადმი, მათთან ბრძოლის რა მეთოდებს სთავაზობთ მთავრობას?

— აქ ჩვენი პოზიცია აშკარად განსხვავდება მმართველი ლიბერალური პარტიის პოზიციისაგან. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ომი ნარკომაფიასთან, რომელსაც აცხადებს ახლა მომავალი მთავრობა, კიდევ უფრო გაართულებს მდგომარეობას კოლუმბიაში. პირიქით, ჩვენ უნდა ვეძებოთ გზები დაძაბულობის შესანელებლად.

ნარკოგაკეთებით ვაჭრობის პრობლემა საერთაშორისო პრობლემაა და მისი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას. როგორც მგონია, ამერიკის შეერთებული შტატები ძლიერ კმაყოფილია იმით, რომ კოლუმბიაში გაჩაღებულია ომი ნარკომაფიასთან, მაგრამ ამ ომის მთელი სიმძიმე მხრებზე ანევთ მხოლოდ კოლუმბიელებს. ამ ომს არ აწარმოებენ ამერიკელები თავის ტერიტორიაზე. დიდხანს ვერ გაგრძელდება ასე.

ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ნარკოტიკებით ვაჭრობის პრობლემა მათი ეროვნული უშიშროების პრობლემის ნაწილია, მაგრამ ნახეთ, რა ფასად წყვეტენ ისინი ამ პრობლემას: ჩვენში, კოლუმბიაში ყოველდღიურად ამ ომისაგან იღუპებიან ადამიანები, რომელთა შორის ბევრი უდანაშაულოა.

— რა უფრო რთულია — იყოთ პოლიტიკური ხელმძღვანელი, თუ აგანყებულთა ლიდერი?

— გაცილებით რთულია იყო პოლიტიკური ხელმძღვანელი; მაგრამ დიდებულია ის, რომ ახლოს ცხოვრობ ხალხთან. მაშინ, როცა ჩვენ მთებში ვიბრძოდით, ჩვენს მტრებს ჰქონდათ ნებისმიერ შესაძლებლობა დაეშახინჯებინათ ჩვენი მიზნები და ამოცანები, ელაპარაკათ ჩვენზე სიყალბე. ახლა კი ისეთ მდგომარეობაში ვართ, როცა შეგვიძლია ადამიანებს ავუხსნათ, ვინ ვართ, რა პროგრამა გვაქვს და რისთვის ვიბრძვითო.

საუბრის დასასრულს, იღება კარი და კულულებიანი გოგონა, რომელსაც კოჭებამდის სწვდება ზურგზე გადაკიდებული ავტომატი, ყავითა და ნამცხვრით გვიმასპინძლდება.

ასე მთავრდება ჩვენი ვიზიტი ანტონიო ნავაროსთან.

მეორე დილით კი მივემგზავრებით ძირითად მასპინძლებთან ბოიაკას დეპარტამენტში, სადაც საგანგებო მიწვევით, გაზეთ „იზვესტიის“ მიმომხილველი ვლადიმერ ბაი და ამ სტრიქონების ავტორი, როგორც ერთი — საკავშირო ჟურნალისტთა კავშირისა, ხოლო მეორე — საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენელი უნდა შეგვხვდეთ ადგილობრივ ჟურნალისტებს, რომლებმაც საუბრის თემად აირჩიეს „გარდაქმნა სსრ კავშირში და პრესა“.

პირველმა შეხვედრამ და საუბარმა ხუთ საათს გასტანა.

ამ, ერთი შეხვედვით, უცხოელთათვის უმნიშვნელო პოლიტიკური ნვრილმანების ცოდნამ (რაც სსრ კავშირში ხდება) და საბჭოთა პრესის საქმიანობით დაინტერესებამ, დაგვარწმუნა, რომ ჩვენი მინვევა კოლუმბიაში შემთხვევითი არ ყოფილა.

რთული პოლიტიკური ვითარება ამ სახელმწიფოში აიძულებს ადგილობრივ ჟურნალისტებს, ეძებონ გზები და ეზიარონ იმ გამოცდილებას, რომელიც „ევიანსი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში გამოადგებათ.

ამიტომაც არ დაგვიზოგავს ძალ-ღონე, რომ გაგვეცნა გულნრფელი სამსახური ჩვენი ახალშექმნილი და შორეული მეგობრებისათვის.

ნოდარ ჯაველიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კოლუმბია.

ხურათებზე: ქალაქი ბოგოტა; ხეხარ გავირია არჩევნების შემდეგ; ლიბერალები გამარჯვებას ზეიმობენ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ბონი. ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრამ, რომელიც ივლისის დამდეგისათვის არის დანიშნული ლონდონში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს უნდა მისცეს მკაფიო სიგნალი იმის თაობაზე, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირი მზად არის დაამყაროს ახალი ურთიერთობა ვარშავის ხელშეკრულებასთან. ასე განაცხადა „ვეტერანისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა. (თუ არც ერთი კავშირი აღარ აღიქვამს ერთმანეთს როგორც „საფრთხეს“, თქვა მან შემდეგ, მაშინ მათ შეუძლიათ ერთობლივად განაცხადონ ეს და იხიც, რომ უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე.

ბერლინი. „ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების ხიდი“ უწოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ლოტარ დე მეზიერმა სავალუტო, ეკონომიკურ და სოციალურ კავშირს, რომელიც ძალაში შედის ივლისიდან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი მიმართვაში, რომელიც დღეს გადაიცა ტელევიზიით, მთავრობის მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი არ გაჭიანურდება.

პარიზი. ევროპამ უნდა გამოიმუშაოს კონტინენტზე კოლექტიური უშიშროების ერთიანი პოლიტიკა, რომელშიც ხამხედრო განზომილება მხოლოდ საერთო სისტემის ნაწილი იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა

ძველ იბერთა და კოლხთა მიწა-წყალი თუ მათი ზნე-ჩვეულებანი ოდითგანვე აინტერესებდათ მეზობელ სახელმწიფოებს. რა წყაროები მოგვეპოვება, ვინ დაინტერესებული ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით, ენით, ცხოვრების წესით? დღეს რამდენი ქართველოლოგი იღვწის იმისთვის, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებს გააცნოს ჩვენი ერის მონაპოვარი, ან თავად დახდო ამაგი ჩვენს კულტურას? აი, ამ კითხვებზე პასუხს იპოვით ახალი რუბრიკით — „ქართველოლოგები“. ვფიქრობთ, დაინტერესებული მკითხველი ფართოდ გამოეხმაურება ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ვიქტორ კახნიაშვილის ამ წამოწყებას და ჩვენს ფოსტასაც არაერთი უცნობი ფაქტი თუ ფოტომასალა გაამდიდრებს. მით უმეტეს, რომ ქართველოლოგთა თბილისის საერთაშორისო სემინარიც კარს მოგვდგომია.

XIII საუკუნის ფლანდრიელი ბერი საქართველოში

ქართველოლოგია ანუ ქართველთმცოდნეობა ფართო ცნებაა, მისი მეცნიერული კვლევა-ძიება კი ამოუწურავი თემა, რადგან იგი შეისწავლის ქართველი ერის ისტორიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, ლიტერატურას, ხელოვნებას, ეთნოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ენათმეცნიერებას და ა. შ. როგორც ქართულ ენციკლოპედიაშია აღნიშნული, სადღეისოდ სამეცნიერო სიტყვათხმარებაში ქართველოლოგია მეტწილად საზღვარგარეთ მიმდინარე სათანადო კვლევას გულისხმობს. ამდენად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის პირველი წერილობითი ცნობები საქართველოსა და უძველეს ქართველ ტომთა შესახებ, რომლებიც გვხვდება საბერძნეთში IX საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბერძენი და რომაელი ავტორები ჰომეროსი, ჰესიოდე, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ციცერონი პლინიუსი, ტაციტუსი, პლუტარქე და სხვები ვრცლად მოგვითხრობენ ქართველ ტომთა ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, ზნე-ჩვეულებებსა და ომებზე, რასაც, შეიძლება ითქვას, მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ქართველოლოგები

ზღვა საწყაული

დასავლეთ ევროპის მკითხველი საზოგადოება პირველად ბერძენი და რომაელი ავტორების ნაწარმოებთა (თქმულებები არგონავტებსა და ოქროს საწმისზე, მითები ბედაზე, ლეგენდები კოლხეთზე) თარგმანებით გაეცნო კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების საქმიანობას. ჯვაროსნული ომების შემდეგ მონღოლებთან და თურქ-სელჯუკებთან ბრძოლებში მონაწილე ქართველებზე, მათ გმირობაზე, შეუპოვრობასა და ვაჟკაცობაზე ბევრი საინტერესო ამბავი ჩაიტანეს ევროპაში სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, მისიონერებმა, ვაჭრებმა და მგზაურებმა.

დღემდე მიკვლეული და ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ერთ-ერთ ასეთ ევროპულ პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ ფლამანდელი (ფლანდრიელი) ბერისა და დიპლომატის ვილიელმ რუბრუკვისი (იგივე გუილიომ რუბრუკვისი, დაახლ. 1215-1293) თხზულება „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“, რომელშიც იმიერთონდელი საქართველოს ამბებიცაა გადმოცემული.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის მეფე ლუი IX-მ (1214-1270) მაჰმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ 1248 წელს წამოიწყო ჯვაროსანთა VII ლაშქრობა. XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლებს ბათო-ყაენის (1208-1255) სარდლობით დაპყრობილი ჰქონდათ აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა, აწიოკებული ჰყავდათ ქართველი ხალხი და მდინარე ვოლგის ქვემო წელზე დაარსებული ჰქონდათ ფეოდალური სახელმწიფო — ოქროს ურდო (სატახტო ქალაქი — სარაი-ბათუ). საოცარია, რომ ევროპელმა ჯვაროსნებმა თათრებისაგან განსხვავებით, რომლებიც იმ დროს აწარმოებდნენ, მონღოლები რატომღაც ქრისტიანებად მიიჩნიეს. ამიტომ, საფრანგეთის მეფემ რუბრუკვისი დაბმარებისათვის მოციქულად გაუგზავნა ბათო-ყაენის ვაჟს სარტახს, რომელიც მიუხვდა ლუის საწადელს და მამასთან შეხვედრა ურჩია, ბათო-ყაენსა კი, თავის მხრივ, რაკიღა მონღოლეთის იმპერიის დიდ ხანად იმქანად მუნქეყაენი (1208-1259) ითვლებოდა, ბერი მუნქესთან მოსალაპარაკებლად ყარაყორუმში გაისტუმრა. ასეთნაირად მოუწია რუბრუკვისს. ვეებერთელა ტერიტორიაზე განლაგებულ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას გასცნობოდა.

ყარაყორუმიდან გამობრუნებისას რუბრუკვისმა 70 დღე-ღამის განმავლობაში მოიარა მცირე აზია, კასპიისპირეთი, ჩრდილოეთ კავკასია, 1254 წლის სექტემბერში ვოლგის ნაპირს მიადგა, ზოლო 1255 წელს საქართველოში ჩამოაღწია.

თუ გავითვალისწინებთ თათარ-მონღოლთა შემოსევამ და რბევამ XIII საუკუნეში რა დამანგრეველი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნებზე, კერძოდ კი, საქართველოს ბედზე, ნათელი გახდება, თვითმხილველი ბერის მიერ პირუთვნელად აღწერილი ამბები, რაც ჩვენი წინაპრების სულის სიმტკიცესა და გაუტეხლობაზე მეტყველებს და რასაც არა მარტო ქართველი ისტორიკოსების, არამედ ყველა ჩვენგანის წრთობისთვის დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: „...გალმა არის ჯიქეთი, რომელიც თათრებს არ ემორჩილება, ხოლო აღმოსავლეთით სვეები (ალბათ სვანები — ვ. კ.) და იბერები, რომლებიც აგრეთვე არ ემორჩილებიან თათრებს“, — წერს ფლამანდელი დესპანი.

Սոფია: Հեռալի Հեռոլոգոդ

ანზორ აბულაშვილი

ა ი ი ა

ა ი ი ა,
ა ი ი ა,
სუნთქვაა თუ ყვავილია,
მინის პირზე
გაზაფხულის
მაცნედ ამოყვანილია.
ეგერ ია,
აგერ ია,
ხმაში ცრემლი გამერია.
თებერვალის ქარიშხლებში
გზა და კვალი აგვერია.
თუმც იაზეც იისფერი
ივერიის მთა-ველია,
სული მისი აყვავების
მოლოდინით დამელია.

დ ა ი ს ი

მაისის ასე ვარდისფერ, მაგრამ
დალამებისთვის განნირულ დაისს,
იმის შებინდულს დავაბნევ ცარგვალს
სოფლის მთოვარის ბრილა ყვავილს
და გულუბრყვილო მოვა საღამო
და კიდით-კიდე უფრო დათბება,
მორცხვ-მოზვიმე გრილი და ამო
ქაფქაფა რძისფრად ჩამონათდება.

ავტობუსში

— წინ, წინ გაინიეთ, ხალხო,
უკან ნუ სნევეთ ერთიმეორეს,
თანაც გზას ხერგავთ,
ხომ ხედავთ
ნინ თავისუფლებაა!..
— იცოცხლე, კარგი საქმე ეგ იყოს,
მაგრამ,
ცოტა ნესრიგი თუ არ იქნა,
ფეხის წადგმა ჭირს
ამ ჯგლეთა-ზედახორაში.

1980 წლისთვის კომუნიზმის აშენების დამპროექტებლებს

სიზმრით აშენებთ, ზღაპრით აშენებთ,
მე კარგად ვიცი, რასაც აშენებთ,
ამიტომ ამ ლექსს, როგორც ალიყურს,
გონსმოსასვლელად შემოგაშველებთ.
ეშმას ქირქილი ნუნილით მავსებს,
ვარ უსასოო, ნუგეშო მოდი!
თორემ სიზიფე შემოდგა მთაზე
და ქვე მიგორავს სიზიფეს ლოდი.

უნუგეშოს ნუგეში

ვაი იმ დღეს, მოყვარული
გული — გულს რომ განუდგება...
და თუ ცხადში ვეღარ განახავ,
სიზმარს წინ რა დაუდგება.
ვაი, ვისაც უარყოფის
გულში ჯანღი ჩაუდგება...
და თუ შენზე არ მამღერებ,
კენესას წინ რა დაუდგება.
ეგ ყიღულის ქედმაღლობა
სხვას მორჩილად წარუდგება...
და თუ შენთვის არ მაცოცხლებ,
სიკვდილს წინ რა დაუდგება.

გიორგი

ეგერ გიორგი
ესეც გივარგი,
კიდევ გიორგი...
ბევრი გიორგი...
ცოტა აცალეთ ალგეთელ ბოკვრებს,
ჯერეთ მამულის ძუძუ შეარგეთ,
მერე იხილეთ მათი ძალ-ღონე,
აუღებელი ციხე-სიმაგრე.
მოდის და მოდის,
მოდის და მოდის,
ასიათასი მოდის გიორგი...
ძველს და სიძველით ჩახერგილ შარას
სუყველა ჯიქურ მიარღვ-მიანგრევს.
ყველას სიცოცხლე ისე ისანთლებს,
მამულისათვის როგორც ივარგებს!
ძალაც ამიტომ ეტყობა აპრილს,
მსგავსი არაგვის შფოთვა-სიმორგვის
და საქართველოც მხრებში სწორდება—
ლხენით მჭვრეტელი ამდენ გიორგის...

ბალანჩინის სამშობლოში (სპექტაკლი „ლალი“ მონტე-კარლოს ბალეტის თეატრის რეპერტუარიდან). ჯაკარ ლომაძის ფოტო.

(დასასრული)

—თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი-ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

და რამდენადაც თავისუფლება მოქმედებაა, სამოქმედო პროგრამა გვესაჭიროება უწინარეს ყოვლისა. ეტაპობრივი, კონკრეტული, ღრმად და საფუძვლიანად გააზრებული. ხოლო, ასეთი პროგრამის მომზადებაში იქნება ვაჟას რჩევა-დარიგებამაც გვარგოს რაიმე სიკეთის მომტანი.

ვაჟა:

— ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამასა და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით, ვერ გავიგეთ დღესაქამდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგენებთ, არ გავიცნობთ კარგად, — მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ გამზადების ეჭვები გამოუვა თავიდან, — მანამდე არც მდურვას ქართველის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული.

მაინც რა ვქნათ?

ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული და ადრე თქმული უნდა გავიმეორო იმის თაობაზე, რომ ჩვენი საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, ქართული სოფლის აღორძინება, გაძლიერება და მინაზე გულაცრუებული, გაუცხოებული ქართველი გლეხი კაცის ბედისადმი საყოველთაო საერო დაინტერესება უნდა გახდეს. ეს უნდა გახდეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საერთო გეგმისა და მოქმედების პროგრამის საფუძველი. ამის აღიარების, გაგებისა და ამ მიზნით მოქმედების გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს ვერ მივაღწევთ.

ვაჟა:

— რაკი განგებამ, ჩვენმა ბედისწერამ, სოფლური ცხოვრება დაგვიწერა, სოფლად უნდა სწავლა-ცოდნა მოვიშველიოთ. საცა სწავლაა, ქალაქიც იქ არის, თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გარდაიქმნება. თორემ სულ ამ ვითარებაში რომ დავრჩეთ, ათასი წელიც რომ გავიდეს ისევ ესენი ვიქნებით, რაცა ვართ.

ვაჟას ეს „ფიქრები“ 1902 წელს დაიწერა და იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. მას შემდეგ თითქმის ცხრა ათეული წელი გავიდა და ჩვენს სოფელს მაინც არაფერი ეშველა. ამიტომ, ჩვენ, რაც ვიყავით, ისეთები დავრჩით. შესაძლოა უარეს მდგომარეობაში მყოფნიც.

— სად არისო ჩვენი გრძნობა თავის დაცვისა? — შემოგვძახა ვაჟამ მაშინ.— ან ფიქრი იმ მიზეზე, რა მიზეზითაც დავძაბუნდით? რომ არც ერთია და არც მეორე, კიდეც იმიტომ, არც ხერია ჩვენკენ. შეგნება ხმალია ამ წუთისოფლის ბრძოლაში, ხოლო გრძნობა თავის თავისა — ფარი. ჩვენ ხელში ჯოხიც არ გვიპყრია, ან რად გვინდა, როცა ბრძოლაში მონაწილეობას არ ვიღებთ?! დიაღ, ეს არის ჩემი საფიქრებელი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ, და ორივე თუ ერთად მოხერხდება, ის უკეთესია.

ჩვენი დღევანდელი საფიქრალიც ეს არის. უნდა იყოს. და არა მარტო საფიქრალი, არამედ პროგრამა და გეგმაც მოქმედებისა, რამეთუ მხოლოდ ღონიერი სოფელია განათლებული და გამრავლებული. ესე იგი მთელი ერიც.

ვაჟა ისევ და ისევ გვმოძღვრავს. აუღელვებლად, მოთმინებით, მთის კაცის სიდარბაისლით და ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კია, რომ უბრალო რამ ჭეშმარიტებისა ვერა გავიგეთ რა.

კერძოდ:

— მეცნიერება, სხვათა შორის, სამს საშუალებას აღიარებს ერის საბედნიეროდ: ქონების სწორედ, სამართლიანად განაწილება, გავრცელება ცოდნისა და გამრავლება ერისა.

გასანაწილებელი რომ რაიმე გქონდეს, მით უფრო სწორედ და სამართლიანად, სიუხვეა საჭირო, რაც ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, ხოლო ამის გარეშე არც დამოუკიდებლობასა და მით უფრო თავისუფლებაზე შეიძლება სერიოზული ლაპარაკი. მშიერი კაცი ვერ იქნება ვერც დამოუკიდებელი და მით უფრო, თავისუფალი.

ერი მდიდარი უნდა იყოს. ერის შვილიც — ადამიანი. ყველა. ღარიბი კაცი არ უნდა ყავდეს ერს, თორემ მდიდარი რაც უფრო მეტი იქნება, ისაა უკეთესი.

სიმდიდრის მიმართ ჩვენს ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც კომუნიზმის აშენებას აპირებდა, ცოტა არ იყოს, ბუნდოვან დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. ახლაც ასეა. მარტო ის რად ღირს, რომ კოოპერატიული მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრების ერთი მთავარი მიზეზთაგანი სწორედ ის არის, რომ მდიდრდებიანო. ეს არ არის ქართველი კაცის ფსიქოლოგია.

ვაჟა:

— ყველასაც ვისაც ჭკუა აქვს, თუნდა გლეხი იყოს, ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს, მდიდარი ხალხის გამრავლება, რადგან მრავალი მდიდარი, როგორც უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეამატებენ, სანუგეშონი არიან.

ეს მთელი ჩვენი ეკონომიკური სისტემის გარდაქმნას მოითხოვს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ამოცანების გათვალისწინებით, როცა კერძო ინიციატივაზე დამყარებული პატიოსანი შრომის შედეგად მიღებული ნაყოფის ბატონ-პატრონი მშრომელი ადამიანი გახდება. მუშაც, გლეხიც, ვაჭარიც, ინტელიგენტიც. ყველა, ვინც იცის თავისი საქმე, ვისაც უყვარს შრომა და ვისი ხელიც არავის არაფერს პარავს, არავისას არ ითვისებს და საზოგადო საქმესაც შველის.

ვაჟამ მთის სიმაღლიდან გახედა სივრცეს და ღრუბლებში დამალული ჩვენი ხვალინდელი დღე დაინახა:

— თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული. უნდა მიანიჭოს ნება, უფლება, იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უპასპორტოთ წავიდეს და მივიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეაჩოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკოს, სწერო საზოგადო საქმეებზე, ისე როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაპგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

ამისათვის კი აი, რა ყოფილა საჭირო.

ვაჟა:

— საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის თავის შცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი.

მაღალი ღმერთი გისმენდეს და შეგეწიოს ჩვენ, შენს მოდგმასა და ქირისუფალს.

მე მეგონა ვიცოდი ვაჟა.
არ მცოდნია კარგად.

იქნებ ამის გამოცანა, რომ ცოტა არ იყოს გვიჭირს ფეხის ადგმა და სიარულის დაწყება პროგრესის გზაზე, ვითარცა ცოცხალსა და საღ არსებას.

მაინც ავიდგამთ ფეხს და შენსავით ვაუკაცურ სიარულსაც მალე ვისწავლით.

შენი დახმარებითაც. იმის კარგად ცოდნითა და გონივრული გამოყენებით, რაც დაგვიტოვე და დაგვიბარე.

მადლობელი ვართ!

ოთარ ჭინჭლაძე.

ვაჟა

XIII საუკუნის ფლანდრიელი ბერი საქართველოში

ქართველოლოგია ანუ ქართველთმცოდნეობა ფართო ცნებაა, მისი მეცნიერული კვლევა-ძიება კი ამოუწურავი თემა, რადგან იგი შეისწავლის ქართველი ერის ისტორიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, ლიტერატურას, ხელოვნებას, ეთნოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ენათმეცნიერებას და ა. შ. როგორც ქართულ ენციკლოპედიაშია აღნიშნული, სადღეისოდ სამეცნიერო სიტყვათხმარებაში ქართველოლოგია მეტწილად საზღვარგარეთ მიმდინარე სათანადო კვლევას გულისხმობს. ამდენად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის პირველი წერილობითი ცნობები საქართველოსა და უძველეს ქართველ ტომთა შესახებ, რომლებიც გვხვდება საბერძნეთში IX საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბერძენი და რომაელი ავტორები ჰომეროსი, ჰესიოდე, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ციცერონი პლინიუსი, ტაციტუსი, პლუტარქე და სხვები ვრცლად მოგვითხრობენ ქართველ ტომთა ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, ზნე-ჩვეულებებსა და ომებზე, რასაც, შეიძლება ითქვას, მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

გუიელიომ რუბრუკვისის „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ თბილისში გამოიცა 1942 წელს. ქართულ ენაზე მთარგმნელი ბატონი გერონტი ქიქოძე წიგნის წინასიტყვაობაში ასეთნაირად აფასებს თხზულების ავტორის ღვაწლს: „რუბრუკვისი გასაოცარი დაკვირვების ნიჭს იჩენს; უხვ მასალას იძლევა იმდროინდელი აღმოსავლეთი ევროპის და აზიის გასაცნობად. ის პირველი ევროპელია, რომელიც აღნიშნავს, რომ ძველი რომაელების მიერ სერესებად წოდებული ხალხი და ჩინელები ერთნი და იგივენი არიან. მან პირველმა აღნიშნა, რომ უიღურულ, თურქულ და კომანურ ენებს შორის ნათესაობა არსებობს. ევროპელებს პირველად მან მისცა წარმოდგენა ჩინური დამწერლობის თავისებურებაზე და ბუდისტურ მოძღვრებაზე განსხეულების შესახებ. ბოლოს მან პირველმა აღნიშნა, რომ ჩინელებს ბამბის ქაღალდის ფული ჰქონდათ და სხვ.“

საქართველოში ყოფნისას რუბრუკვისს გაუცნია ზაქარია მხარგრძელის შვილი, მანდატურთუხუცესი შაშუ და მისი ვაჟი. ფლანდრიელ სტუმარს და მის თანმხლებ პირებს დაუთვალიერებიათ შაშუს მამული და ძლიერი ფეოდალის მფლობელობაში 15 ქალაქი აღუერიცხავთ. ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის სურათს გვიხატავს უცხოელი, რომლის სიტყვები შვიდი საუკუნის წინანდელი მოყმის სულისკვეთებას გვაცნობს და ერთობ თანამედროვედ ჟღერს: „მე ვისაღილე საჰეზასთან (შაშუსთან), და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და ვაჟმა ზაქარიამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან (ე. ი. ლუი IX-სთან) მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია, რათა ის თქვენს სამსახურში მიგიღოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ, თუმცა ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედმოიდრეკოს მათი უღლის ქვეშ“ (გვ. 174), როგორც ისტორიიდან ვიცით, ზაქარია შაშუს ძე მხარგრძელი, რომელიც მეფე დავით VII ულუს მიმმხრო და შემოსეულ მტერს აუჯანყდა, მონღოლებმა ურჩობისათვის 1261 წელს სიკვდილით დასჯეს.

რუბრუკვისი საკმაოდ განსწავლული პიროვნება ჩანს. ლუი IX-დმი მირთმეული მისი მოხსენება-აღწერა „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ პირველად 1589 წელს დაიბეჭდა ლათინურ ენაზე. მან ისეთი დიდი ინტერესი აღუძრა ყველას, რომ მოკლე ხანში, თითქმის ყველა თანამედროვე ევროპულ ენაზე ითარგმნა. ქართველი მკითხველი, ისტორიკოსი თუ მწერალი, უეჭველია, მასში ბევრ საინტერესო მასალას აღმოაჩენს.

იტალიელი მისიონერები კოლხეთში

საქართველოს და იტალიის კულტურულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველი მეფეები მეგობრულ და საომარ კავშირს ამყარებდნენ რომის იმპერატორებთან. გავიხსენოთ, თუნდაც, რომის იმპერატორის ვესპასიანის (9-79 წლები) და ქართლის (იბერიის) მეფის მითრიდატე მეორის ურთიერთდამოკიდებულება, რომლის დამამტკიცებელი ერთ-ერთი საბუთი — 75 წლით დათარიღებული ბერძნული წარწერა ქვაზე 1867 წელს მცხეთის მახლობლად აღმოაჩინეს. მასში ნათქვამია: ვესპასიანემ და მისმა შვილებმა „იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და დედოფალ ჰამასასპუზის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, რომაელებმა ციხის გალავანი გაუმაგრეს“.

ცნობილი რომაელი მწერლები, ისტორიკოსები და გეოგრაფები სტრაბონი, ციცერონი, პომპეიუს ტროგუსი, პლინიუსი, ტაციტუსი, პლუტარქე, აპიანე, კლიმენტი ალექსანდრიელი, პროკოპი კესარიელი და სხვები, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან იმდროინდელ კოლხეთსა და იბერიაზე, რომლებსაც მეცნიერები დღესაც დიდი გულისყურით ეკიდებიან. XIII საუკუნიდან მოყოლებული ევროპულ ქრონიკებში ხშირდება კავკასიასა და საქართველოზე გადმოცემული ამბები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოში მყოფ იტალიელ მისიონერთა ჩანაწერები, რომლებშიც აღწერილია ქართველი ხალხის ისტორიის ცალკეული ეპიზოდები, ზნე-ჩვეულებანი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და ყოფა-ცხოვრების დეტალები. სხვადასხვა პიროვნებებთან ურთიერთობის დასამყარებლად იტალიელ მისიონერებს აქტიურად იყენებდა მეფე ერეკლე მეორე და მათი მეშვეობით მიმოწერა ჰქონდა ევროპის მაშინდელ მონარქებთან.

ფლანდრიელი ბერისა და დიპლომატის გუილიომ რუბრუკვისის საქართველოში მოგზაურობიდან (1255 წ.) 40 წლის შემდეგ, საქართველოზე საგულისხმო ამბებს მოგვითხრობს საქვეყნოდ ცნობილი ვენეციელი მწერალი და მოგზაური მარკო პოლო (დაახლ. 1254-1324). იგი 17 წლისა იყო მამას და ბიძას შორეულ ჩინეთში რომ გაჰყვა სამოგზაუროდ. გამოცდილმა სოვდაგრებმა - გაიარეს პალესტინა, მცირე აზია, ირანი და ცენტრალური აზიის გზით ჩინეთს მიადგნენ. მარკო პოლომ 20 წელიწადზე მეტ ხანს იხეტიალა სხვადასხვა ქვეყანაში და 1295 წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1298 წელს ვენეციის ფლოტის ოფიცერი მარკო პოლო ტყვედ ჩაუვარდა გენუელებს. სატუსაღოში გაიცნო თავისი თანამემამულე რუსტიჩიანო, რომელმაც ძველფრანგულად ჩაიწერა პოლოს ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი. შემდეგ, ღალკეთილშობილებას და მაღალ-ფირსებას ბ-ნ დონინჯიო მასსარის, სარწმუნოების გამავრცელებელ წმინდა საზოგადოების მდივანს“. ნაპოლი, 1654 წ. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი, 1938 წ.) უცხოელ მკითხველს თვალწინ გადაუშალა XVII საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოს ცხოვრება. ავტორი ასეთნაირად იწყებს თხრობას: „თუმცა კოლხეთისაკენ გზა ასე საშიშია და თვით ეს უხვი ქვეყანა მთლად გაოხრებულია, იქ სულს მაინც არ მოჰკლებია ხსნა ქრისტეს ძვირფასის სისხლის მადლითა... ისიც უნდა მივიხსენიო, რომ კოლხეთის ზნე-ჩვეულებისა და ზოგი სხვა საუცხოვო რამეებისა ჩვენში სრულებით არაფერი იციან“ (გვ. 3).

ცალკე უნდა გამოვყოთ იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის წევრის კრისტოფორო დე კასტელის ოცდაექვსწლიანი მოღვაწეობა საქართველოში. იგი ძირითადად გორში, ქუთაისში, გურიასა და სამეგრელოში იყო; XVII საუკუნის საქართველოს პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აღწერასთან ერთად კასტელის დღემდე გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული 500-ზე მეტი ჩანახატი ძვირფასი მასალაა იმდროინდელ ისტორიულ პირთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა — მამია, სამონ და ვახტანგ გურიელების, ლევან დადიანის, ელენე ათაბაგის, კათალიკოს მალაქიას, ნიკიფორე ირბახის, გიორგი სააკაძის, თეიმურაზ პირველის და სხვათა რეალისტური სახეების გასაცნობად. კასტელის ჩანახატების ნაწილი გამოქვეყნა მ. თამარაშვილმა, ხოლო ალბომი 1977 წ. წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბეჟან გიორგაძემ.

დასავლეთევროპელ მეცნიერებს ქართული ენის შესწავლის პრაქტიკული შესაძლებლობა მიეცათ 1629 წელს რომში დაბეჭდილი „იბერიული ანუ ქართული ანბანისა“ და ქართულ-იტალიური ლექსიკონის („ქართულ-იტალიური სიტყვარი, შედგენილი სტეფანო პაოლინისაგან, ქართველისა... ნიკიფორე ირბახის დახმარებითა“. ნიკიფორე ირბახი, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (1585-1658), შემდგომში სამეგრელო-აფხაზეთის პატრიარქ-კათალიკოსი) გამოკვლევის შემდეგ. 1643 წელს (მეორე გამოცემა — 1670 წ.) ასევე რომში გამოქვეყნდა ფრანცისკო მარია მაჯოს (1612-1886) „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეშე იხმარება“ (დაწერილია ლათინურ ენაზე), რომელიც, მართალია, არ არის დაზღვეული სერიოზული შეცდომებისაგან, მაგრამ ამ ნაშრომიდან საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის შესწავლის მეთოდს და ევროპელი სწავლულები თითქმის ორასი წლის მანძილზე მაჯოს ნაშრომით ეცნობოდნენ ქართულ ენას.

იტალიელი მისიონერების მიერ გამოცემული საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ადათ-წესების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, სარწმუნოების, ქართული ანბანის, ლექსიკოლოგიური და გრამატიკული ნაშრომების გაცნობის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უცხოეთში მეცნიერული ქართველოლოგიის ჩასახვის ადგილად XVII საუკუნის 20-იანი წლების იტალია ჩავთვალოთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცნობილმა იტალელმა დრამატურგმა კარლო გოცმ (1720-1806) თავისი ნაწარმოები „გველ-ქალი“ ქართულ თემატიკას დაუკავშირა, რომელშიც მოქმედება პირობითად თბილისში მიმდინარეობს, ხოლო დიდმა იტალიელმა კომედიოგრაფმა კარლო გოლდონიმ (1707-1793) საქართველოს თემაზე დაწერა პიესა „შომხიბლავი ქართველი ქალი“ (ქართულად თარგმნა ზაირა სტურუამ), რომელშიც მოცემულია დასავლეთ საქართველოს მაშინდელი ცოცხალი სურათები. აღნიშნული პიესა 1761 წლის 5 დეკემბერს დაიდგა ვენეციაში, სან-ლუკას თეატრის სცენაზე, და თუმცა დიდი წარმატება არ ჰქონია, მას ჩვენთვის დღესაც არ დაუკარგავს ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში იტალიის სხვადასხვა ქალაქში ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ქართული საეკლესიო ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი (მიქელ თამარათი, 1858-1911). ცხოვრების უკანასკნელი წლები მ. თამარაშვილმა მოგზაურობაში გაატარა, მუშაობდა ვატიკანის, პალერმოს, ფლორენციის, ნეაპოლის, პარიზის, ლონდონის და ევროპის სხვა სიძველეთსაცავებში, სადაც ბევრი ძვირფასი და უნიკალური დოკუმენტი აღმოაჩინა. მისმა შრომებმა „ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“ (თბილისი, 1902 წ.), „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“ (თბილისი 1904 წ.) და 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოცემულმა ნაშრომმა „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დროამდე“ დიდი როლი შეასრულა კათოლიკე მისიონერთა ცხოვრება-საქმიანობისა და ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელების შესწავლაში, რომაც დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა საქართველოს კულტურის თითქმის რვა საუკუნის ისტორიას. მ. თამარაშვილი შემთხვევით და სრულიად მოულოდნელად ტრაგიკულად დაიღუპა ხმელთაშუა ზღვის ტალღებში 1911 წელს. და როგორც ცნობილია, ბატონ რეზო თაბუკაშვილის თაოსნობით მისი ნეშტი

თეატრალური ფესტივალი

ტკივილიანი გულახდილობით

ოთარ ჩხეიძის პიესა „სოლომონ, მსაჯული მეფისა“, დიდი ხნის დაწერილია, მაგრამ გვიან ელირსა დღის სინათლეს, მარშან დაიბეჭდა ალმანახ „დრამატურგიაში“ (მერანი“ 1989). ადრე მისი დადგმა სურდა თემურ ჩხეიძეს მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ მაშინ რეჟისორის ეს წადილი ფაქტად ვერ იქცა. ოთარ ჩხეიძის ქმნილებამ თავისი „მოსიყვარულე გამოსახვილი“ (დავით კლდიაშვილი) იპოვა გორის ერისთავის თეატრის სახით. რესპუბლიკურ ფესტივალზე თეატრი სწორედ ამ სპექტაკლით იყო წარმოდგენილი.

მაღალ პოეზიასთან შეხვედრის სიამოვნებას განგვაცდევინებს ოთარ ჩხეიძის ნაწარმოები. ესაა თავისუფლებადაკარგული, ღირსებააყრილი ერის ტრაგედია, რომელიც საქართველოს ისტორიის კონკრეტულ დროს — 1801 წელს ეხება. დრამატურგი თვალნინ გვიცოცხლებს იმდროინდელ განწყობილებას და განცდებს, ცხოვრების საერთო ატმოსფეროს. ეპოქის სუნთქვას. მწერალი ტკივილიანი გულახდილობით ამხილებს მანკიერებებს ადამიანურ ურთიერთობებში რომ აღზევებულა და ძირს უთხრის ხოლმე ჩვენს ეროვნულ მთლიანობას. ოთარ ჩხეიძის პიესა ფართო შესაძლებლობას უქმნის რეჟისორს გამოავლინოს ფანტაზია და ღრმა აზროვნება; დახვეწილი გემოვნების და მტკიცე ნების რეჟისორის ხელით არის გამოკვეთილი გორელთა სპექტაკლი. რეჟისორი ალექსი ჯაველი საკრალურ დამოკიდებულებას იჩენს პიესის მიმართ. დღეს იშვიათია რეჟისორი, ასე რომ უფრთხილდებოდეს დრამატურგის, სიტყვას და თავის კონცეფციას მთლიანად მას უმორჩილებდეს, იგი მწერლის სიტყვაში ჩამარხულ საიდუმლოს ამოხსნას მიელტვის.

დრამატურგიის დარად ისტორიის მძაფრად ტრაგიკული ხედვა ახასიათებს სპექტაკლსაც. მას თეატრში ეროვნული საერთოსახალხო სულისკვეთება შემოაქვს. თანამედროვე მაყურებელი ამ ქმნილებაში შეიცნობს და აღმოაჩენს საკუთარ ცხოვრებას, — ასე ექცევა თეატრი საზოგადოებრივი ინტერესების და ვნებათაღელვის ცენტრში.

აკაკი წერეთლის თქმით, „რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი ხალხისა და საზოგადოებისთვისაც თეატრია, რომ ქვეყანამ შიგ ჩაიხედოს, თავისი როგორც ნაკლი, ისე ღირსებაც დაინახოს და გასწორდეს“. გორელთა სპექტაკლი სწორედ რომ სარკეა, მასში ჩამხედავნი, ჩვენს წარსულს მიყურადებული სადღეისო ეროვნულ გაკვეთილს ვიღებთ, ფიქრი მოგვიცავს — რას დაუღუპია საქართველო ოდით და ოდით? განთითოება, ქიშპი, განდიდების სენი, ერთიანი, თავისუფალი საქართველოს იდეაზე მაღლა პირადულის დაყენება! განა დღესაც არ დომინირებს ეს თვისება ქართულ ფსიქიკაში, რაც ერის უკეთეს შვილებს, მოაზროვნე პიროვნებებს ერთმანეთს უპირისპირებს და ხელს უშლის ეროვნულ ძალთა გაერთიანებას!

ვინც გორელთა სპექტაკლს დაესწრო, დაგვეთანხმება, რომ თეატრს კოლექტივი დიდი მოსულში ჩაღრმავების, შინაგანი გამომსახველობის გზით ქმნის ღრმა ფსიქოლოგიურ ხასიათს. მისი სახით სპექტაკლში დიდი სამართლის მსახიობი,, ქართული სულის არისტოკრატი ვიხილეთ.

მეტყველ სცენურ პორტრეტს ქმნის გამოცდილი ოსტატი, მსახიობი ნინო ზალდასტანიშვილი დედოფალ დარეჯანის სახით. ღირსეულად გაართვა თავი დავითის წინააღმდეგობრივ, რთულ სახეს მსახიობმა კახა ბერიძემ. როვანი სცენური სივრცე, საიდანაც გვიმზერენ დავითისა და თამარის ფრესკები, ერის წარსული დიდებისა და აწინდელი დაცემის პერიოდებს უპირისპირებს ერმომანეთს და ამაღლებულ გრძნობებს აღძრავს.

ეს ერთი სპექტაკლიც მოწმობს, რომ ქართულ თეატრს სტკივა ყველა ის სატკივარი, რაც აწუხებს სრულიად საქართველოს, ეროვნული თვითშეგნებით დამუხტული გამოდიხართ ამ სპექტაკლიდან.

ჩემი აზრით, ამ სპექტაკლის უპირველესი ღირსება მაინც ის არის, რომ იგი აღადგენს გაწყვეტილ, დაბინდულ ეროვნულ მეხსიერებას, საქართველოში ხომ მთელმა თაობებმა არ იცოდნენ სამართლე — ჩვენი მეხსიერებიდან ჭეშმარიტების ამოშლას ლამობდნენ ისევე, როგორც გორელთა სპექტაკლში ტაძრის ფრესკებს ღებავენ ორთავიანი არწივის მოციქულნი...

ვფიქრობ ამ სპექტაკლზე და უნებლიედ ოთარ ჩხეიძის დიდი ხნის წინანდელი წერილი „ლიბარათები თეატრის დირექტორს“ მახსენებდა. იგი სწორედ გორის თეატრს ეძღვნება. მწერალი წერს: „ფაუსტი“ თეატრის დირექტორისა და პოეტის პაექრობით იწყებაო. „დირექტორი ნატრობს — ნეტავი თეატრს ისე მოაწყდებოდეს ხალხი, როგორც დამშეულნი სახაბაზოს მოაწყდებიან ხოლმეო“. „სოლომონ, მსაჯული მეფისა“ სწორედ ისეთი სპექტაკლია, რომელიც „დამშეულ“ მაყურებელს მოიყვანს თეატრში.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „სოლომონ, მსაჯული მეფისა“; სოლომონი — ოთარ ქუთათელაძე, დავითი — კახა ბერიძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

წინდის ქსვა დიაცთ წესია... სიმონ ყილაძის ფოტო.

აი, გამარჯვებულებიც

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და თეატრის მოღვაწეთა კავშირის ეიურიმ შეაჯამა საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო დრამატული თეატრების მესამე რესპუბლიკური ფესტივალის შედეგები და დაადგინა:

პრემია საუკეთესო ახალი სპექტაკლისათვის 1500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს თამაზ ჭილაძის „ნახვის დღის“** დადგმისათვის (რეჟისორი — გოგი ჩაკვეტაძე).

ერთი პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის 1000 მანეთის ოდენობით მიენიჭათ **ალექსი ჯაველს — გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ოთარ ჩხეიძის „ხოლომონ, მსაჯული მეფისა“** დადგმისათვის, და **მერაბ ხვირავას ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაიას“** დადგმისათვის.

პრემია საუკეთესო ახალი ქართული დრამატურგიული ნაწარმოებისათვის 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **თამაზ ჭილაძეს პიესისათვის, „ნახვის დღე“** (დაიდგა თელავის თეატრში).

პრემია ქალის როლის შესრულებისათვის 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობს ნანა ფაჩიაშვილს მაიას როლის** შესრულებისათვის სპექტაკლში „თავადის ქალი მაია“ (ზუგდიდის თეატრში).

პრემია მამაკაცის როლის შესრულებისათვის 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **მერაბ ყოლბაიას კუკუხ როლის შესრულებისათვის** სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „მუნჯის სიზმრები“.

პრემია საინტერესო დებიუტისათვის 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **ბექა ჭავთარაძეს, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრში გიორგი გამსახურდიას „მუნჯის სიზმრების“** დადგმისათვის;

პრემია სცენოგრაფიული ნამუშევრისათვის 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **აივენგო ჭელიძეს რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ფრიდრიხ დიურენმატის „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“ გაფორმებისათვის** (დადგმა ანდრო ვნუკიძისა).

პრემია 500 მანეთის ოდენობით მიენიჭა **ნანა გაბაშვილს** რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ფრიდრიხ დიურენმატის **„მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“** მუსიკალური გაფორმებისათვის.

ეს უფეხბურთო სამი დღე...

დასვენებისათვის განკუთვნილი სამი დღე მეოთხედფინალის მონაწილეებმა ტრავმირებულ ფეხბურთელთა მეურნალობაც მოახმარეს. მომავალ შეხვედრებზე, გარეგნულად მაინც, არავინ ფიქრობდა. მხოლოდ ჩემპიონატის პრესცენტრი მუშაობდა ბეელი დატვირთვით და ამ ხნის მანძილზე ბევრი საინტერესო ინფორმაციაც დაგროვა.

...არგენტინელთა გაერთიანებული სამიროების თავდამსხმელს ჰალიდ მუბარაქს, რომელმაც დასავლეთგერმანელთა კარში ერთადერთი გოლი გაიტანა (გახსოვთ, ალბათ), „როლს-როისის“ მარკის ახალთახალ ავტომანქანას დაპირდნენ. გულშემატკივრებმა ცნობილ ავტომრეწველს — ჰალაფაალ ალბურას — პირობის შესრულება მეახსენეს, რაზედაც ამ უკანასკნელმა წყენით განაცხადა: პატიოსანი მუსულმანი სიტყვას არ გატეხს, მაჩვენეთ „დამნაშავე“ და მანქანა წაიღეთო!

...კამერუნელ ფეხბურთელს როგე მილას, რომელმაც უკვე ოთხი გოლი გაიტანა, შინ ძეგლი უნდა დაუდგან. ასეთია ხალხის ხება. დედაქალაქის ერთ-ერთ ბანკში უკვე გაიხსნა ანგარიში — ყოველმა კამერუნელმა 50 აფრიკული ფრანკი უნდა შეიტანოს ამ ეროვნული გმირის სახელის უკვდავსაყოფად. ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს განკარგულებით, უკვე შესდგომიან კიდეც ძეგლის პროექტზე მუშაობას.

...ბელგიის ნაკრების მოთამაშემ ვინჩენცო შიფომ ურუგვაელებთან გამარჯვებისთვის მიღებული 1000 დოლარი მექსიკის უპატრონო ბავშვთა სახლს გადასცა. 1986 წელს ბელგიის ნაკრებმა იმავე თავშესაფარს საქმაოდ დიდი თანხა გადაურიცხა თურმე, და მას შემდეგ შეფობს მას.

...ინგლისელთა მეკარე პიტერ შილტონი ჯერჯერობით მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც 121-ჯერ დაიცვა ნაკრების ღირსება! შილტონამდე რეკორდსმენებად ჩრდილოეთირლანდიელი ჯენინგსი (119 მატჩი), შვედი ნორდკვისტი (115) და იტალიელი ძოფი (112) ითვლებოდნენ. აღსანიშნავი, რომ ამ შესანიშნავი ოთხეულიდან სამი მეკარეა (შილტონი, ჯენინგსი და ძოფი).

...ოთხი წელია დიეგო მარადონა ფიფას რომ ებრძვის. იგი ამ ორგანიზაციას ტელეკომპანიების უსიტყვო მორჩილებას სდებს ბრალად. არადა, ფეხბურთელებს მართლაც უჭირთ დღისით, ამ პაპანაქება სიცხეში თამაში, რასაც კატეგორიულად ითხოვენ კამპანიები. და აი, მარადონას თანამოაზრენიც გაუჩნდნენ. ფიფას პრეზიდენტის, ჟოაო